# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ხუთშაბათი 25 აპრილი 2002 №73 (1595) | ფასი 50 თეთრი


# ტოპმიოლერმა ლევერკუზენს შორს შეატოპინა

## ყველა, ვინც პატარობით თავს იმართლებს, თავს იპატარავებს



ჰერ ტოპმიოლერმა სერ ფერგიუსონი ძალიან გააბრაზა

REUTERS მანჩესტერიდან

გუშინ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალურ მატჩში დიდმა და მდიდარმა „მანჩესტერ იუნაიტედმა" ვერაფერი მოუხერხა პატარა და ღარიბ „ლევერკუზენს". ახლა საპასუხო მატჩის წინ ბაიერელთა ფინალში გასვლის შანსი ერთიორად გაიზარდა და ასე თუ მოხდა, ძალიანაც ნუ გავიკვირვებთ, წინა ორი ფინალის ერთი მონაწილე „ვალენსია" ხომ ისეთი გუნდი იყო, ბობოლათა რიცხვს რომ არ მიეკუთვნება. ხოლო თუ ძალამ აღმართი მაინც მოხნა, არც ეს იქნება უბედურება, რაკი „ლევერკუზენმა" უკვე დაამტკიცა — ჩემპიონთა ლიგა მხოლოდ დიდებისა და მდიდრების არ არის. ამასთანავე, „ლევერკუზენს" ერთი ნაბიჯიღა აშორებს ბუნდესჩემპიონობასა და ბუნდესთასისგან.

ლევერკუზენი პატარა ქალაქია, თითოოროლა რუკაზეა აღნიშნული და იქაც საგანგებოდ უნდა ეძებო. ასე, ჩვენი ბათუმის ხელაა და ბათუმისგან განსხვავებით აეროპორტიც კი არ აქვს — იქ ჩამსვლელები დიუსელდორფის აეროპორტით სარგებლობენ.

ჯიბესქელი არც კლუბია, ზაფხულის სატრანსფერო ბაზარზე სანამ სხვები ზიდანებითა და ვერონებით ვაჭრობდნენ, ამათ ჰანს იორგ ბუტის, ზოლტან სებესკენის, ილდირეი ბაშთურქისა და ორიოდე მოყვარული ფეხბურთელის ყიდვა მოახერხეს, რისთვისაც რობერტ კოვაჩთან და ექვს სხვა მოთამაშესთან განშორება მოუხდათ — სხვაგვარად ფული არ ეყოფოდათ.

„ლევერკუზენი" მეტად მიუახლოვდა ლიგის ფინალს და დაამტკიცა, რომ ლიგა პატარებისაც არის. მან ასევე დაამტკიცა, რომ:

დიდი გუნდის არ უნდა გეშინოდეს და მოედანზე გასულს მუხლები არ უნდა გიკანკალებდეს;

არ უნდა ამტკიცო, რომ მეტოქე იმდენად სახელოვანია, მისი დამარცხება წარმოუდგენელია, რაც არაერთხელ მოგვისმენია და რაც საკუთარი თავის უპატივცემულობაა;

არ უნდა თხზა თეორიები პირველი გოლის ფაქტორზე, როცა ასეთი მაგალითი გაქვს — ბაიერელები ორჯერ მარცხდებოდნენ „ოლდ ტრეფორდზე";

გაუთავებლად არ უნდა ლანძღო მსაჯი შენს კარში დანიშნული პენალტის გამო და საერთოდაც, მსაჯები არც ისე ხშირად ცდებიან სახელიანთა სასარგებლოდ, როგორც ჩვენში ჰგონიათ;

უნდა გახსოვდეს, რომ თამაში ოთხმოცდაათ წუთს გრძელდება — „ლევერკუზენმა" სწორედ ბოლო წუთებზე წაჰგლიჯა გამარჯვება „ლივერპულს" მეოთხედფინალში;

მუდმივად არ უნდა წუწუნებდე უფულობასა და ვარსკვლავების არყოლაზე, რაკი ფული და ვარსკვლავები ციდან არ ცვივა და ფული ვარსკვლავების შექმნით უნდა იშოვო.

„ლევერკუზენმა" ეს ყველაფერი დაამტკიცა, სამწუხარო კი ის არის, რომ ამ უბრალო ჭეშმარიტებების მტკიცებაა საჭირო.



REUTERS მანჩესტერიდან



„მანჩესტერი" — „ლევერკუზენი" 2:2. ხუან სებასტიან ვერონმა ბერნდ შნაიდერს ბურთზე დაუფარა



# კალაძე საათზე იყურება

დღეს 25 აპრილია ანუ ხუთიოდ დღეა დარჩენილი კახა კალაძის ხელისუფლებისადმი წაყენებული ულტიმატუმის ვადის გასვლამდე. კახას ძმა ლევანი კი დღესაც გამტაცებელთა ხელშია. წუხელ შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში ახალი ვერაფერი გვითხრეს. მათ ლევან კალაძის თაობაზე არანაირი ოფიციალური ცნობა არ ჰქონდათ.

სამაგიეროდ, თავად კახა კალაძემ, რომელსაც იტალიაში დავუკავშირდით, გვითხრა:

— ხონში მომხდარი ინციდენტის ჩემს ძმასთან დაკავშირება არ შეიძლება. ჯერაც არ ვიცი, ლევანი სად არის და ვის ხელშია, თუმცა, დარწმუნებული ვარ, ხონში დატრიალებული ამბავი ჩემი ძმისგან შორსაა.

**— შენი ულტიმატუმის ვადის გასვლამდე ხუთი დღე რჩება. ისევ ძველ აზრზე ხარ?**

— დიახ! თუ პირველ მაისამდე ჩემი ძმა არ გაანთავისუფლეს ,ეროვნულ გუნდში ალარასოდეს ვითამაშებ.

**— დრო ძალიან ცოტა დარჩა...**

— რა გახდა ასეთ პატარა ქვეყანაში ბავშვის მოძებნა? ვთქვი, ვამბობ და გადაწყვეტილებას არ შევცვლი — თუ ლევანი პირველამდე არ დაბრუნდება, ნაკრებს დავემშვიდობები.

ძობა ინ...

# გიორგი ნემსაძემ ბურთი იუცხოვა



გიორგი ნემსაძეს ივანო ბონეტი მომავალ ტურში ძირითადში თამაშს უპირებს

**რვათვიანი** მკურნალობის შემდეგ თამაში განაახლა საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ. მოგეხსენებათ, ის სექტემბერში დაშავდა და მას შემდეგ იძულებით უქმობამ მოუწია. ჯერ შვეიცარიაში, მერე კი იტალიაში გადიოდა ნემსაძე სარეაბილიტაციო კურსს და ვარჯიშის დაწყებიდან დაახლოებით ორ კვირაში თამაშიც შეძლო. ნემსაძე კვირას გამოჩნდა „დანდის" შემადგენლობაში „დანდი იუნაიტედთან" წაგებული მატჩისას და ქომაგებისგან გამხნევებულს ამდენი ხნის უთამაშებლობა აბა, როგორ იქნებოდა, მაინც არ დასტყობოდა.

— ძალიან გამიჭირდა, ფაქტობრივად შვიდი თვე ბურთს არ გავკარებოდი — გვითხრა გიორგი ნემსაძემ — თავს მოედანზე უცხოდ ვგრძნობდი, თუმც ქომაგთა ყურადღებამ ენერგია შემმატა. სასურველ ფორმამდე, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ ბევრი მიკლია და ვფიქრობ, სეზონის დამთავრებამდე დარჩენილ მატჩებში ჩემგან ბევრს არც ელიან. შემდგომიდან კი, ვიმედოვნებ, ძველებურად ავთამაშდები. ახლა, პირველი მატჩის შემდეგ, კუნთებიც ამტკივდა, მყესებიც დამეჭიმა და ექიმებმა ერთი-ორი დღე დასვენება მირჩიეს. მომავალ ტურში კი, მწვრთნელის თქმით, შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაშიც ვითამაშო.

გიორგი ნემსაძემ „დანდის" ორი ქართველის ამბავიც გვითხრა. ზურაბ ხიზანიშვილი ისევ ბოლონიაშია და ექიმთა მეთვალყურეობით ბურთიანად ვარჯიშობს. თამაშით ის ზაფხულამდე ვერ ითამაშებს. თემურ ქეცბაიას კი „დანდი" საბერძნეთიდან დღე-დღეზე ელის. დარჩენილ მატჩებში გუნდს ვერც ის დაეხმარება, მაგრამ ხელმძღვანელებთან პირადი საქმე აქვს მოსაგვარებელი, ქეცბაია ხომ „დანდიში" „ვულვერჰემპტონიდან" სეზონის ბოლომდეა განათხოვრებული. მუხლის ოპერაცია კი მან ათენში გაიკეთა და აღდგენითი პროცესი ნორმალურად მიდის.

**კობა ინასარიძე**

# ჩემპიონთა ლიგა
## ნახევარფინალი. პირველი მატჩი

მანჩესტერი (ინგლისი) 2:2 ლევერკუზენი (გერმანია)

1:0 სოლსკიაერი (29), 1:1 ბალაკი (62), 2:1 ვან ნისტელროი (67პ), 2:2 ნოივილი (75)

მანჩესტერი: ბარტეზი, გ. ნევილი (ფ. ნევილი 18; ირვინი 88), ბრაუნი, ბლანი, სილვესტრი, ბათი, სქოულზი (კინი 82), ვერონი, გიგზი, ვან ნისტელროი, სოლსკიაერი

მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი

ლევერკუზენი: ბუტი, ზივკოვიჩი, ლუსიო, ნოვოტნი (სებესკენი 46), პლასენტე, შნაიდერი, რამელო, ბასტურქი (ვრანიეში 78), ბალაკი, ზე რობერტო, ბერბატოვი (ნოივილი 72)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმოლერი

გაფრთხილება: ფ. ნევილი, ზივკოვიჩი, ზე რობერტო

მსაჯი: ლუბოშ მიხელი (სლოვაკეთი)

66 534 მაყურებელი



REUTERS მანჩესტერიდან

ოლივერ ნოივილის გოლმა საპასუხო მატჩს მეტი ინტრიგა შესძინა



REUTERS მანჩესტერიდან

„მანჩესტერის" ლაზარეთს გუშინ გარი ნევილიც შეემატა



ისევ ერთად...
ინგლისის ნაკრების მწვრთნელმა სვენ გორან ერიკსონმა „არსენალ" — „ვესტ ჰემს" ნენსი დელ ოლიოსთან ერთად უყურა



REUTERS ლონდონიდან

# მერანის უნაგირიდან რუსი ჩამოხტა



ნუკრი ვარდოსანიძის ფოტო

ანზორ მამალაძე

**ორთვიანი** სიმშვიდისა და ფინანსური სტაბილურობის შემდეგ თბილისურ „მერანს" ისევ პრობლემები მოემალა. გუშინდელს აქეთ კლუბი ერთი კაცის იმედად დარჩა. გაჭირვებულ ყოფაში ავჭალელები ანზორ მამალაძემ არ მიატოვა.

კლუბის მოსკოველმა მეპატრონეებმა, 50 პროცენტის მფლობელმა ანდრეი ჟილენკოვმა და 25 პროცენტის მეწილემ იური სევასტიანოვმა „მერანის" დაფინანსებაზე უარი განაცხადეს.

რუსები აქამდე დახარჯული თანხის სანაცვლოდ „გოლეადორის" ახალგაზრდა ფეხბურთელებს, ზედ კი ეროვნული გუნდის ყოფილ მოთამაშეებს აკაკი დევაძეს და მიხეილ ფოცხვერიას მოითხოვენ. 25 აპრილიდან რუსებს „მერანთან" საპრეტენზიო არაფერი ექნებათ, მაგრამ ოთარ გაბელია და მისი ბიჭები მოსკოვიდან სამი თვის კუთვნილ ხელფასს, ორი თამაშის პრემიას და ზეექვსეულში მოხვედრისთვის შეპირებულ ჯილდოსაც ვერ მიიღებენ. არაფერს ვამბობთ ტექნიკური პერსონალისა და სხვა სახის დავალიანებაზე.

აღნიშნული თანხა მთლიანობაში 45 ათასი დოლარია, რომლის სამართალმემკვიდრეც უკვე „მერანის" უცილო მეპატრონე ანზორ მამალაძეა. მას გუშინ საღამოს ვესაუბრეთ...

— რა გაეწყობა, მარტო დავრჩი. რუსებს ტკბილი სიტყვით და კეთილი სურვილებით დავშორდი. მათ დახარჯულის სანაცვლოდ კუთვნილი მიიღეს. ვიდრე ახალ პარტნიორებს მოვიძიებდე, ჩემი უპირველესი საზრუნავია, გუნდი ფორმში, გასვლით მატჩზე უპრობლემოდ გავამგზავრო. მერე კი სხვაზეც ვიფიქრებ. ჯერ არ ვიცი, საქმეებს როგორ ავაწყობ, მაგრამ ერთ რამეს კი გპირდებით, „მერანი" არ დაიშლება და უფრო ძლიერი გუნდიც იქნება.

დღეს ძნელია მამალაძის სამომავლო გეგმებზე ლაპარაკი, თუმც ისიც ფაქტია, რომ 45 ათასი დოლარის სანაცვლოდ (დავალიანება ხომ ზუსტად ამდენია) უმაღლესი ლიგის გუნდის პატრონობის მოსურნე საქართველოში არა ერთი და ორი ფულიანი კაცი გამოჩნდება.

**გამუკა ძგანტალიანი**

## ინგლისი

პრემიერლიგა
გადადებული მატჩები

იფსვიჩი 1:0 მიდლსბრო
1:0 დ. ბენტი (58)
არსენალი 2:0 ვესტ ჰემი
1:0 ლიუნგბერგი (77), 2:0 ნ. კანუ (80)

## გერმანია

სამხრეთ რეგიონალლიგა
გადადებული მატჩი

რეგენსბურგი 2:0 ზიგენი

## ჰოლანდია

პირველი დივიზიონი
გადადებული მატჩები

ჰირენვენი 2:0 გრონინგენი
პსვ ეინდჰოვენი 6:0 ტილბურგი
უტრეხტი 3:2 ალკმაარი

## პოლონეთი

პლეი ოფი. XII ტური

პოლონია 5:0 პოგონი
ოდრა 0:0 კატოვიცე
რუხი 2:1 ამიცა
ვისლა 1:1 ლეგია

პლეი აუტი. XII ტური

გროცლინი 4:0 ოსტროვიეცი
სტომილი 1:1 რადომსკო
ზაგლები 1:2 შლიონსკი
ვიძევი 2:0 გურნიკი

## საბერძნეთი

გადადებული მატჩი

პანათინაიკოსი 5:3 იონიკოსი

## დანია

თასის ნახევარფინალი
საპასუხო მატჩი

ესბიერგი 0:0 კოპენჰაგენი (0:1)

## შვეიცარია

II ეტაპი. A ჯგუფი. XI ტური

სენტ გალენი 1:3 სერვეტი
იანგ ბოისი 0:3 ბაზელი

II ეტაპი. A/B ჯგუფი. XI ტური

ძსამაძსი 2:0 ვილი

## ავსტრია

გადადებული მატჩი

ავსტრია 1:1 რაპიდი

თასის ნახევარფინალი

შტურმი 3:2 ბად ბლაიბერგი (II)

## რუსეთი

თასის ნახევარფინალი

სატურნი 0:1დ.დ. (0:0) ზენიტი

## ჩეხეთი

თასის ნახევარფინალი

სლავია 1:0 ბანიკი

# ჩემპიონთა ლიგა ნახევარფინალი პირველი მატჩი

# ბარსელონა 0:2 რეალი

**ბარსელონა. „კამპ ნოუ“. 98 000 მაყურებელი. მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)**

ბონანო, რაიციგერი (ჯოვანი 60), დე ბური, აბელარდო (კრისტენვალი 73), კოკუ, მოტა (გაბრი 82), როჩემბაკი, ლუის ენრიკე, ოვერმარსი, კლუივერტი, სავიოლა
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი

0:1 ზიდანი (55), 0:2 მაკმანამანი (90)
გაფრთხილება: ლუის ენრიკე, ზიდანი, სალგადო, სესარი, კლუივერტი, ოვერმარსი

სესარი, სალგადო, იერო, პავონი, რობერტო კარლოსი, მაკელელე, ელგერა, სოლარი (კონსეისაო 89), ზიდანი, რაული, გუტი (მაკმანამანი 80)
მწვრთნელი: ვისენტე დელ ბოსკე


REUTERS
ფილიპ კოკუმ რაულს ლამის ფეხები მიამტვრია

# გლაზგო რეალურია

## რექსაჩმა ტაქტიკურად არასწორად ილაპარაკა

*მომავალი სეზონიდან უეფა ევროთასებზე „ოქროს გოლის“ წესს გააუქმებს, რომელმაც ეგრეც ვერ მოიპოვა პოპულარობა და ეს წესი რომ არა, ეგებ შარშან „ლივერპულს“ ვერც მოეგო უეფას თასი...*

*თუმცა „ოქროს გოლის“ წესის გაუქმება ძველ წესზე დაბრუნებას არ ნიშნავს. უეფას ასეთი გეგმა აქვს: 90+15+15, ანუ თუ ძირითადი დრო ფრედ დამთავრდა, ერთი დამატებითი ტაიმი ინიშნება, რომელიც გოლის გატანის შემთხვევაშიც ბოლომდე ჩასრულდება და თუ ერთი დამატებითი ტაიმიც ფრედ დამთავრდა, ამ შემთხვევაში დაინიშნება მეორე. საბოლოო ფრის შემთხვევაში კი საქმე პენალტების სტანდარტულ სერიამდე მივა. ისევ დავაზუსტოთ — ეს მხოლოდ გეგმაა და შეიძლება შეიცვალოს, გადაწყვეტილი მხოლოდ „ოქროს გოლის“ წესის გაუქმებაა.*

*ეს სამომავლოდ, სამშაბათს კი ჩემპიონთა ლიგის პირველ ნახევარფინალურ, სუპერკლასიკოდ და სხვა მრავალი ეპითეტით შემკულ მატჩში „კამპ ნოუზე“ „ბარსელონამ“ „რეალს“ უმასპინძლა. მათ დაპირისპირებაზე იმდენი რამ თქმულა, რომ აქვე შევთანხმდეთ — ისტორიის თავიდან თხრობას ნუ შევუდგებით და პირდაპირ საქმეზე გადავიდეთ.*

**შემადგენლობები** რომ გავარჩიოთ, ცხადია, „რეალს“ უფრო კაშკაშა ვარსკვლავები ჰყავდა, თუნდაც ის რად ღირს, რომ კატალონიელებს აკლდათ ის მოთამაშე, რომელსაც, ალბათ, ერთადერთს შეეძლო მატჩის ბედის შემობრუნება — რივალდოზე მოგახსენებთ, რომელიც ტრავმის გამო ტრიბუნიდან არაფრისმთქმელი გამომეტყველებით უყურებდა მადრიდელთა ტრიუმფს.

თუმც თავიდან, პირველ ტაიმში, მადრიდელებს ტრიუმფატორობისა არაფერი ეტყობოდათ. თუ საქმე სახიფათო მომენტების თვლაზე მიდგა, უპირატესობა აშკარად მასპინძელთა მხარეს იყო, რაც კაცმა რომ თქვას, სტუმართა შეცდომების ბრალი უფრო გახლდათ. მეშვიდე წუთზე ლუის ენრიკემ კარგი პასი გაუჭრა პატრიკ კლუივერტს ზედ საჯარიმოს ხაზთან, ჰოლანდიელი მეურვე ივან ელგერას გასცდა, მაგრამ მეკარე სესართან პირისპირ დარჩენილმა კი ველარ ივარგა — კარიდან გამოვარდნილმა სესარმა დარტყმა ფეხით მოიგერია. ხუთიოდ წუთში კი ფაბიო როჩემბაკის მიერ კუთხურის ჩაკიდებისას ლუის ენრიკემ საჰაერო ბრძოლა მოუგო ფერნანდო იეროს და „კამპ ნოუმ“ მეორედ მოიგმინა — ბურთი ხარიხას მოხვდა. აქვე აღვნიშნოთ, რომ ლუის ენრიკე მარტინესი ძველი რეალელია, ხოლო მეკარე სესარი „რეალის“ ახლანდელი შემადგენლობიდან ერთადერთი კაცი გახლავთ, რომელსაც აქამდე „ბარსელონას“ „კამპ ნოუზე“ დამარცხება მოეხერხებინა, თუმც მან ეს „ვალიადოლიდში“ თამაშისას შეძლო.

ერთი სიტყვით, „ბარსელონამ“ თამაში აშკარად უკეთ დაიწყო, ეს სახიფათო მომენტები ხომ შექმნა, მოედნის ცენტრიც დაპყრობილი ჰქონდა და მეტოქეს მჭიდრო პრესინგი შესთავაზა, ხოლო მადრიდელები კონტრიერიშებით ლამობდნენ ფონს გასვლას, რომელთაგან გამოსარჩევი მხოლოდ ერთია — რაული რობერტო ბონანოსთან პირისპირ გავიდა, თუმც უშედეგოდ.

და რა მტკიცება უნდა, რომ თამაში ნერვული იყო, რის დასტურადაც ხშირი უხეშობები და მოედანზე ხანგრძლივად კოტრიალი გამოდგება. ყვითელი ბარათი კი პირველ ტაიმში სამჯერ აფრიალდა: მეცხრე წუთზე ლუის ენრიკე სოლარისთან ბრძოლაში იყო მტყუანი, ოცდამერვეზე ზინედინ ზიდანმა ვერაგულად დასცა ყმაწვილი მოტა, ხოლო ოცდამეთექვსმეტეზე მიჩელ სალგადო ეუხეშა მარკ ოვერმარსს. დავძინოთ, რომ მთლიანობაში სალგადომ შეძლო ჰოლანდიელი ფლანგელის ამოკეტვა.

შესვენების შემდეგ სურათი შეიცვალა. „რეალი“ დაცვაში ნაკლებად სცოდავდა და იერიშებსაც უხშირა, 55-ე წუთზე კი გოლიც გავიდა. გოლი ორი სუპერფეხბურთელის, რაულისა და ზიდანის გარჯის შედეგი გამოდგა. რაულმა ბურთი მოედნის ცენტრში მოიხელთა და მარცხენა ფლანგზე ზიდანს ჩააწოდა. ფრანგი საჯარიმოსკენ გაიჭრა და მეტოქე მცველმა მისი დაწევა საჯარიმოშიდა შეძლო, თუმცა ამაოდ — ზიდანმა საკმაოდ მახვილი კუთხიდან მაინც მოახერხა ბურთის შორეულ კუთხეში ჩახვევა. მართალია, რობერტო ბონანო ბურთს თითის წვერებით შეხწვდა, მაგრამ კატასტროფის შეჩერება ვერ შეძლო.

გოლმა „ბარსელონა“ არია, მასპინძელთა ქმედებები ქაოსური გახდა, ხოლო იერიშები ერთფეროვანი, რომლებიც შედეგიანად ოლენ ფერნანდო იეროსა და ფრანსისკო პავონის შეცდომების წყალობით თუ დასრულდებოდა.

მაგრამ იერო და პავონი არ ცდებოდნენ. მართალია, პავონს ხავიერ სავიოლასთან გამკლავება უჭირდა, მაგრამ გამორჩეულად სახიფათო მომენტებამდე საქმე არ მიდიოდა.

„პირველ გოლამდე ძალიან კარგად ვთამაშობდით და ბევრი მომენტიც შევქმენით — თქვა მატჩის შემდეგ ბარსელონელთა თავკაცმა კარლოს რექსაჩმა — მაშინ, როცა „რეალს“ ერთადერთი ხელსაყრელი მომენტი ჰქონდა. გოლის მერე კი ყველა გზა მოგვეჭრა, იძულებულები გავხდით, უკანმოუხედავად შეგვეტია და მეორე გოლიც მხოლოდ და მხოლოდ ამის გამო გავუშვით. დარწმუნებული ვარ, ზურგის მოშიშვლება ასეთ ვითარებაში გამართლებული იყო“. რა იყო გამართლებული და რა არა, ცალკე საუბრის თემაა, ხოლო კიდევ რაშია რექსაჩი დარწმუნებული, ქვემოთ მოგახსენებთ. აქ კი აღვნიშნოთ, რომ შეტევის ხაზის გაძლიერება მწვრთნელმა რაიციგერის ჯოვანით შეცვლით სცადა. მანამდე კი, ზიდანის გოლსა და ჯოვანის შეცვლამდე ხუთწუთიან მონაკვეთში, „ბარსას“ ორი მომენტი ჰქონდა — ლუის ენრიკეს თავურმა ძალიან ახლოს ჩაუქროლა კარს, ხოლო როჩემბაკისა უფრო დიდი მანძილით ასცდა.

მეორე გოლამდე კიდევ ბლომად დრო რჩებოდა და „რეალს“ სამი ერთიმეორეზე უკეთესი შანსი მიეცა. რაულსა და ბონანოს შორის კვლავ არავინ იდგა, მაგრამ მადრიდელმა უხერხულად დაარტყა და ბურთიც მეკარის ლუკმა გახდა. აი, რა დაემართა გუტის, ძნელი სათქმელია. ჯერ რაულმა რობერტო კარლოსი გაიყვანა ფლანგზე, ბრაზილიელის ჩაწოდებული კი გუტიმ სრულიად გაუგებარი მიმართულებით დაარტყა, ხოლო მეორე ეპიზოდში, იმავე პოზიციიდან მაკმანამანმა მოგვიანებით მეორე რომ გაიტანა, გუტიმ უბრალოდ, ხელებში მიუგორა ბურთი ბონანოს. თან ისიც გამოჩნდა, რომ რეალელი ასეთი მომენტების გაფუჭებამ დიდად არც დაალონა და ვისენტე დელ ბოსკემ ის უმალ სტივ მაკმანამანით შეცვალა, რასაც რვა წუთში სანტიაგო სოლარის ნაცვლად ფლავიო კონსეისაოს შეყვანაც დაამატა, მაკმანამანმა და კონსეისაომ კი...

თუმცა იქამდე ორი სადავო ეპიზოდიც იყო. ჯოვანის შორიდან დარტყმული ხარიხადან ასხლეტით კარში უნდა შევარდნილიყო, მაგრამ სესარმა იყოჩაღა და ზემოთ მოიგერია. არბიტრს, ანდერს ფრისკს, მოეჩვენა, რომ სესარი ბურთს არ შეხებია და, შესაბამისად, კუთხურიც არ დანიშნა.

მეორე ეპიზოდს კი უფრო დიდი ხმაური მოჰყვა. საჯარიმოში გამართული ორთაბრძოლისას მადრიდელმა მცველმა დასწრებაზე ითამაშა და ბურთს ფეხი წაჰკრა, მეკარემ კი ხელში აილო. აქ საქმე ის იყო, მსაჯი როგორ ინტერპრეტაციას მისცემდა მომენტს — შეეძლო, პასად მოენათლა და უღრესად სახიფათო თავისუფალი დარტყმა დაენიშნა, მაგრამ გადაწყვიტა, პასი არ იყო, მცველმა ბურთი უბრალოდ, მოიგერიაო.

სულ ბოლოს, მეორე წამატებულ წუთზე, „რეალმა“ მეორე გოლი გაიტანა, რითაც „ბარსას“ ფინალში გასვლის შანსი კიდევ უფრო შეუმცირდა. რაულმა საჯარიმოს ხაზთან გაიბრძოლა, ბურთი თითქმის დაკარგა, მაგრამ ბოლო წამს ფეხი წაჰკრა, იქვე კონსეისაოს მიუგორა, ამან კი მარჯვენა ფლანგზე ინგლისელი მოძებნა, რომელსაც არავინ მეურვეობდა და საგოლედ მზად იყო.

მატჩი დამთავრდა, კატალონიელმა ქომაგებმა მოედანზე ათასგვარი საგანი ისროლეს და პრეზიდენტისა და მწვრთნელის გადადგომა მერამდენედ მოითხოვეს. და სანამ ქომაგები ბოღმას ანთხევდნენ, პრეზიდენტი ხუან გასპარი ჟურნალისტებს ეუბნებოდა: „შედეგი უსამართლოა. ჩვენ კარგად ვითამაშეთ, მეტოქემ ცუდად, მაგრამ რა ვუყოთ, ასეც ხდება. არავის ეგონოს, რომ შანსი გაგვიქრა. ბიჭებს ვთხოვ, მადრიდშიც ისევე კარგად ითამაშონ, როგორც დღეს და ისევ ვიმეორებ — თუ „რეალმა“ ცუდი თამაშით მოახერხა გამარჯვება, ჩვენ „ბერნაბეუზე“ კარგი თამაშით რატომ ვერ უნდა შევძლოთ?!“

კარლოს რექსაჩი: „შედეგით იმედგაცრუებული ვარ. წაგება უიღბლობა იყო, რადგან გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა, ჩემი ტაქტიკა კი აბსოლუტურად სწორი გახლდათ“.

მადრიდში კი ზეიმია, ბოლოს და ბოლოს, ხუმრობა ხომ არ არის, „რეალს“ „კამპ ნოუზე“ 1983 წლის მერე არ მოეგო. თუმც შევჩერდეთ. აკი თავშივე ვთქვით, ისტორიის მოყოლას ნუ შევუდგებითო.

ხოლო კლუბში ასეთი განწყობაა: ფინალში, ცხადია, გავალთ, თუ საპასუხო მატჩს ყურადღებით მოვეკიდებითო. პრეზიდენტმა ფლორენტინო პერესმა განაცხადა: „ვთვლი, რომ „ბარსელონამ“ კარგი ფეხბურთი ითამაშა და მართალია, საპასუხო შეხვედრის წინ საკმაო უპირატესობას ვფლობთ, მეტოქე უბრძოლველად არ დაგვნებდება. ახლა მთავარია, ერთი კვირის მერეც ისევე ვითამაშოთ, როგორც დღეს და მაშინ გლაზგოში ფინალზე ჩვენ წავალთ“.

რობერტო კარლოსმა კი დასძინა: „ჯერჯერობით არაფერი მოგვიგია. მომდევნო ოთხშაბათს „სანტიაგო ბერნაბეუზე“ კარგი თამაში და ქომაგთა მხარდაჭერა გვჭირდება. არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს „ბარსელონაზე“ უკეთესები ვართ, ეს ასე არ არის“.

ვისენტე დელ ბოსკესა და სხვა მადრიდელების გამონათქვამებიც არაფრით განსხვავდებოდა ამათგან.

**გიორგი დარჯანია**


REUTERS
სესარი კარში კლდესავით იდგა


REUTERS
ლუის ენრიკეს, პატრიკ კლუივერტის და ფრანსისკო პავონის თავბურთი



REUTERS ბლუმბერგნიუსიდან

პრემიერლიგის ორასორგოლოსანმა ალან შირერმა (მარცხნივ) სალიგო ციებ-ცხელება ჩაყლა

# ნიუკასლი ლიგაში

## ინგლისი

### პრემიერლიგა
### გადადებული მატჩები

**ბლექბერნი 2:2 ნიუკასლი**

1:0 გილესპი (28), 1:1 შირერი (63), 2:1 ენდი კოული (67), 2:2 შირერი (71)
ბლექბერნი: ფრიდელი, შორტი, ბერგი, უნსალი, დანი, დაფი, გილესპი, თუგაი, ნაილი (მ. ითჰამსონი 62), ენდი კოული, იანსენი
მწვრთნელი: გრემ სუნესი
ნიუკასლი: გივენი, რ. ელიოტი (ბერნარი 46), ა. ჰიუზი, დისტინი, დაბიზასი, სპიდი, სოლანო, რობერი, დაიერი, ლუა-ლუა (ბელამი 72), შირერი
მწვრთნელი: ბობი რობსონი
გაფრთხილებები: ელიოტი, რობერი
მსაჯი: რენიე
26 712 მაყურებელი

**ფულემი 3:0 ბოლტონი**

1:0 გოლდბეკი (42), 2:0 მარლე (72), 3:0 ჰეილსი (76)
ფულემი: ვან დერ სარი, ფინანი, ბრევეტი, მელვილი, გომა, ლეგვინსკი, გოლდბეკი, შ. დეივისი (მარლე 57), მალბრანკი (მტოლტერსი 84), ბ. ჰეილსი, საჰა (კოლინზი 80)
მწვრთნელი: ჟან ტიგანა
ბოლტონი: იასკელაინენი, ნოლანი, ბერგსონი, ნოლანი, ბერნსაი, ჩარლტონი, საუთჰოლი (ცსაპერტერი 67), ფრანდსენი, ჯორკაეფი, ბობიჩი (მოლდსუორთი 73), უოლესი (რიკეტსი 73)
მწვრთნელი: სემ ოლდარდისი
მსაჯი: დარკინი
18 107 მაყურებელი

**აბა, თამაშიც** ეს იყო: „ბლექბერნმა" „ნიუკასლს" უმასპინძლა და მასთან ქულა გაიყო. ქულა უფრო „ნიუკასლმა" მოიპოვა, ქულასთან ერთად კი ჩემპიონთა ლიგის საგზურიც. ალან შირერს მეორასე გოლის გატანა უჭირდა, თორემ გუშინწინ ორასმეერთეც გაიტანა და ორასმეორეც.

„ნიუკასლი" ორჯერ აგებდა. უცნაურობა კი ის იყო, რომ „ბლექბერნის" მხრიდან გოლები „ნიუკასლის" ყოფილმა ფეხბურთელებმა ენდი კოულმა და კიტ გილესპიმ გაიტანეს. სტუმართა მხრიდან კი ძველმა ბლექბერნელმა, შირერმა ალასრულა დუბლი.

ამ ქულით „ნიუკასლმა" ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო რაუნდს უწია და „ჩელსი" უეფას თასისთვის მებრძოლთა რიგებში გადარიცხა.

„ორწელიწადნახევრის წინ ლიგიდან ვვარდებოდით, ახლა კი ევროპის საუკეთესო შეჯიბრში ვებმებით" — ხარობდა მენეჯერი ბობი რობსონი.

ამასობაში, „კრეივენ კოტეჯზე" „ფულემმა" საბოლოოდ გადაირჩინა თავი გავარდნისგან, რადგან ულაპარაკოდ დაამარცხა „ბოლტონი" — 3:0. ბიარნე გოლდბაეკმა, სტივ მარლემ და ბარი ჰეილსმა თითო გოლი გაიტანეს, რაც იმას ნიშნავს, რომ აქამდე თითქოსდა გადარჩენილ „ბოლტონს" კვლავაც სჭირდება სამი ქულა სრული სიმშვიდისთვის.

**ირაკლი ბამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არსენალი | 34 | 22 | 9 | 3 | 70:33 | 75 |
| ლივერპული | 35 | 22 | 8 | 5 | 58:26 | 74 |
| მანჩესტერი | 35 | 23 | 4 | 8 | 86:44 | 73 |
| ნიუკასლი | 36 | 20 | 8 | 8 | 70:48 | 68 |
| ჩელსი | 36 | 16 | 13 | 7 | 63:35 | 61 |
| ლიდსი | 36 | 16 | 12 | 8 | 51:37 | 60 |
| ვესტ ჰემი | 35 | 14 | 8 | 13 | 45:51 | 50 |
| ტოტენჰემი | 36 | 13 | 8 | 15 | 47:51 | 47 |
| მიდლსბრო | 35 | 12 | 9 | 14 | 35:43 | 45 |
| ასტონ ვილა | 36 | 10 | 14 | 12 | 41:45 | 44 |
| ფულემი | 36 | 10 | 13 | 13 | 36:41 | 43 |
| ევერტონი | 36 | 11 | 10 | 15 | 41:51 | 43 |
| საუთჰემპტონი | 36 | 11 | 9 | 16 | 42:51 | 42 |
| ჩარლტონი | 36 | 10 | 12 | 14 | 36:47 | 42 |
| ბლექბერნი | 35 | 10 | 10 | 15 | 47:46 | 40 |
| ბოლტონი | 36 | 9 | 13 | 14 | 43:58 | 40 |
| სანდერლენდი | 36 | 10 | 8 | 18 | 26:48 | 38 |
| იფსვიჩი | 35 | 8 | 9 | 18 | 40:58 | 33 |
| დერბი | 36 | 8 | 5 | 23 | 32:61 | 29 |
| ლესტერი | 36 | 4 | 12 | 20 | 28:63 | 24 |



პოლ ლამბერტი (შუაში) საუკეთესოობას სევდიანად შეხვდა

# საუკეთესო შოტლანდიელი საუკეთესო შოტლანდიურის გარეშე?

**შოტლანდიელმა** ჟურნალისტებმა წლის საუკეთესო ფეხბურთელად გლაზგოური „სელტიკის" ნახევარმცველი და კაპიტანი პოლ ლამბერტი დაასახელეს. შარშანდელი საუკეთესო, ლამბერტისავე თანაკლუბელი, შვედი ჰენრიკ ლარსონი მხოლოდ მესამე ადგილს დასჯერდა. მეორეზე „რეინჯერსის" იტალიელი ლორენცო ამორუზო გავიდა.

1997 წელს დორტმუნდის „ბორუსიასთან" ერთად ჩემპიონთა ლიგის მოგებ ლამბერტის სიხარული მაინც სევდანარევი გამოდგა. საქმე ისაა, რომ „რეინჯერსთან" გლაზგოურ დერბიში დაშავდა და, შესაძლოა, 4 მაისს, ასოციაციის თასის ფინალურმა მატჩმა, „სელტიკსა" და „რეინჯერსს" შორის შოტლანდიის 2002 წლის საუკეთესო ფეხბურთელის გარეშე ჩაიაროს.

აღნიშნული გამოკითხვა კი სქოტთა ქვეყანაში 1965 წლიდან ეწყობა და ერთი საინტერესო შემთხვევაც აღინიშნა. კერძოდ, 1974 წელს ამ ნომინაციაში არა რომელიმე ფეხბურთელმა, არამედ, შოტლანდიის ნაკრებმა გაიმარჯვა, გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატზე სქოტთა ბრაზილიასთან ფრის გამო.

**სერგი ქორიძე**

### შოტლანდიის საუკეთესო ფეხბურთელები 1990 წლიდან

| | | |
|---|---|---|
| 1990 | ალექს მაკლიში | აბერდინი |
| 1991 | მორის მალპასი | დანდი იუნაიტედი |
| 1992 | ალი მაკოისტი | რეინჯერსი |
| 1993 | ენდი გორამი | რეინჯერსი |
| 1994 | მარკ ჰეიტლი | რეინჯერსი |
| 1995 | ბრაიან ლაუდრუპი | რეინჯერსი |
| 1996 | პოლ გესქოინი | რეინჯერსი |
| 1997 | ბრაიან ლაუდრუპი | რეინჯერსი |
| 1998 | ჰენრიკ ლარსონი | სელტიკი |
| 2000 | ბარი ფერგიუსონი | რეინჯერსი |
| 2001 | ჰენრიკ ლარსონი | სელტიკი |
| 2002 | პოლ ლამბერტი | სელტიკი |

# იტალიის თასი
## ფინალი. პირველი მატჩი. დღეს
## იუვენტუსი — პარმა
# უყურეთ კოლინას



**იტალიის თასის** ფინალმა, საზოგადოდ, უწინდელი მნიშვნელობა დაკარგა, მაგრამ მაინც ფინალია და ამიტომ მეტოქეები, თუნდაც მეორე შემადგენლობებით, გამარჯვებას შეეცდებიან. მეტოქეები კი „იუვენტუსი" და „პარმა" გახლავან, მათი შეხვედრის ადგილი ტურინის „სტადიო დელე ალპია", ხოლო სტადიონის დირექცია იტყობინება, რომ 25 ათასი ბილეთი უკვე გაყიდულია.

ახლა, იმის შესახებ თუ რატომ ვახსენეთ ზემოთ მეორე შემადგენლობები: „იუვენტუსის" მთავარი მიზანი ჩემპიონის ტიტულის მოპოვებაა, „პარმა" კი, უპირველეს ყოვლისა, სერია A-ში დარჩენაზე ფიქრობს. ერთი სიტყვით, ერთადერთი ვარსკვლავი, ვისაც მაყურებელი მოედანზე იხილავს, მსაჯი, პიერლუიჯი კოლინა იქნება.

პარმელთა ეგრეთ წოდებულმა საფეხბურთო დირექტორმა, არიგო საკიმ ხმამაღლა განაცხადა, რომ არაფრისმთქმელ ეროვნულ თასს ლიგაში ადგილის შენარჩუნება ათასგზის უჯობს:

„მე „ფიორენტინასთან" შეხვედრაზე ვფიქრობ" — უპასუხა „მილანისა" და იტალიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, როდესაც „იუვენტუსთან" თამაშზე ჰკითხეს, თუმცა „პარმას" ფრანგი ნახევარმცველი, საბრი ლამუში სხვანაირად ამბობს:

„რატომ? თასის მოგება მნიშვნელოვანია. გულშემატკივარი რამით ხომ უნდა გავახაროთ?"

**ბაჩუნა ძიდია**

## Copa Toyota Libertadores '2002

### ლიბერტადორესის თასი 2002
### მერვედფინალი. I მატჩები

**სიენსიანო (პერუ) 0:1 ამერიკა (მექსიკა)**

0:1 ნავია (69)

**ნასიონალი (ურუგვაი) 1:0 ამერიკა დე კალი (კოლუმბია)**

1:0 ვასკესი (87)

**კობრელოა (ჩილე) 1:1 ოლიმპია (პარაგვაი)**

1:0 დინამარკა (9), 1:1 ზელაია (11)

მატჩი 45-ე წუთზე შეწყდა



ხესუს ხილი ხილს რიოში განავარდება სდომებია

# ვივა, ატლეტიკო!
## თქვენ იცით, სად მიგვიყვანოთ

**მადრიდთან ახლოს** ერთი ციხე დგას — „ალკალა-მეკო". წინა კვირას იქ კურორტ მარბელას მერი და მადრიდის „ატლეტიკოს" პრეზიდენტი ხესუს ხილი ხილი „ნებივრობდა". რამდენიმე დღის წინ, მოგეხსენებათ, ბატონი პრეზიდენტი 700 ათასი ევროს თავდებით გაათავისუფლეს.

გაღმოვდა თუ არა ზღურბლზე ფეხი პატიმარყოფილმა, ეგრევე კამერიან-მიკროფონიანები ეცნენ: „კომფორტული ციხეა — ბრძანა ხილმა — თან ხალხიც ძალიან სასიამოვნოა, გარეთ ასეთები ცოტანი არიან. არ მოველოდი, რომ ციხეში მადრიდის „ატლეტიკოს" უამრავი გულშემატკივარი დამხვდებოდა. პირველ ორ დღეს კამერიდან გარეთ არ მიშვებდნენ, გარედან კი ხშირად მესმოდა: ვივა „ატლეტიკო"!

აი, ასეთი ამბები გამოიტანა ხესუს ხილი ხილმა ციხესა შიგან მომხდარი.

პრესკონფერენციაზე ნაციხარმა ქალაქ მარბელას მერობაზე უარი თქვა, თავშიც ქვა გიხლიათ თქვენი ქალაქიანად, მე ფეხბურთს უნდა მივხედოო. მაგრამ მცირე ხანში მოლბა, ხასიათი შეეცვალა და როგორც სჩვევია, პირიქით დაიწყო ლაქლაქი — მთლად ეგრეც არ არის, ასე უცბად სად წავალო. სად წავა და, შესაძლოა, უკან, ციხეში, რადგან მის წინააღმდეგ აღძრული სასამართლო პროცესი დასამთავრებელია.

ადრე, შეგახსენებთ, ხესუს ხილი ხილმა მადრიდის „ატლეტიკოს" დაჩაგვრაში მსაჯები დაადანაშაულა: „ესენი შავფორმიანი თხები არიან, რომლებსაც სხვა კლუბები ჩვენს საწინააღმდეგოდ ყიდულობენ. თუ საჭირო გახდება, მე „ატლეტიკოს" მატჩებზე უცხოელი მსაჯების მოწვევას მოვითხოვ." სწორედ მისთვის ასე საყვარელ, მადრიდის „ატლეტიკოზე" უკანონოდ დახარჯულ ფულს ედავება უმაღლესი სასამართლოს კოლეგიის მოსამართლე ხუან დელ ოლმო. ხილი გაკვირვებულია: „როგორ უნდა დამეხარჯა გუნდზე ფული მარბელას ბიუჯეტიდან, როცა ბიუჯეტში ფული თავისთავად არ არსებობდა?" — ასე ლალადებს გუნდის პრეზიდენტი და თავს უდანაშაულოდ მიიჩნევს. გაცეცხლებულ გულზე სინიორ ხესუსმა ისიც თქვა, მეც და ჩემი ოჯახიც დავილალეთ, ესპანეთში მოსვენება აღარ გვაქვს, ბრაზილიაში მივდივარ, ჩემი დარჩენილი ცხოვრება იქ უნდა გავატარო და ფეხბურთს შევწიროო.

ეტყობა, ხილი ხილი ციხეში მართლაც ფეხბურთზე ფიქრობდა, აიჩემა, გინდა თუ არა, კლაუდიო ლოპესს „ატლეტიკოს" მაისურა ძალიან მოუხდებაო. თან არგენტინელისგან თანხმობის დიდი იმედიც ჰქონია. მერე „ბოკა ხუნიორსზე" და ხუან რომან რიკელმეზე ილაპარაკა. ხესუს ხილის აზრით, რიკელმე სავიოლაზე და აიმარზე ბევრად ძლიერია: „მე დავუკავშირდი არგენტინული კლუბის პრეზიდენტ მაურისიო მარსის, თუ რიკელმეს დათმობას დამთანხმდა, იცის, სად მომძებნოს".

და თუ ხესუს ხილის ნალაპარაკევი ცოტა გაუგებრად მოგეჩვენათ, ჩვენ ნუ დაგვაბრალებთ, ასე ლაპარაკი მისი სტილია.

**ვაჟა ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# წამსვლელ-დამრჩენების ამბავი
## დაგვანებეთ მე და ბაჯოს თავი

**მსოფლიოს ჩემპიონატი** ახლოვდება და თითოეული ფეხბურთელის ტრავმა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს. უმნიშვნელო დაზიანება რომ უმნიშვნელო დაზიანებაა, ქომაგებს ისიც გულებს უხეთქავს, ხოლო პრესაში ამბავი ისე ტრიალებს, რომ ერთი შეხედვით შეიძლება ბუზი სპილოდ მოგვეჩვენოს. ბუნებრივია, ზუსტად იგივე ხდება იტალიელთა ბანაკშიც — დემეტრიო ალბერტინი და ჯანლუკა პესოტო სერიოზულად დაშავდნენ. მკურნალობენ მარკო მატერაცი, პაოლო მალდინი და ფრანჩესკო ტოტი, ხოლო „სკუადრა ატურას" თავკაცი, ჯოვანი ტრაპატონი ცდილობს ვითარებაში გაერკვეს.

„მალდინის ტელეფონით ვესაუბრე. პაოლომ მითხრა, კვირას, „ვერონას" წინააღმდეგ უეჭველად ვითამაშებო. ეჭვი არ მეპარება, რომ ის გამოჯანმრთელდება, ისევე როგორც ეჭვი არ მეპარება, რომ მატერაცის მალე საუკეთესო ფორმაში ვიხილავთ. ტოტის კი კუნთი აქვს მსუბუქად დაჭიმული და გამოსაჯანმრთელებლად დრო ეყოფა. მსოფლიოს ჩემპიონატისთვის ისიც ფორმაში იქნება".

შემდეგ, დონ ტრაპს პესოტოს შემცვლელის შესახებ ჰკითხეს. მან უპასუხა, რომ ასეთ ფეხბურთელს უკვე დასახელებულთა შორის ეძებს:

„მარცხენა ფრთაზე გვაქვს რამდენიმე ალტერნატივა. კერძოდ, პანუჩისა და ძამბროტაზე ვფიქრობ, რადგან მათ ამ ამპლუაში ადრეც უთამაშიათ".

ამასობაში კი, ვინ იცის ბევრის სამწუხაროდ, გამოჯანმრთელდა რობერტო ბაჯო, რომელმაც მოედანზე დაბრუნების პირველსავე დღეს „ბრეშას" შემადგენლობაში ორი გოლი გაიტანა და ახალ ვნებათაღელვას დაუდო დასაბამი. თანაც, ამ უქმეებზე „ბრეშა" ტურინში ჩადის „იუვენტუსთან" საბრძოლველად, რამაც იტალიელ ჟურნალისტებს ბაჯოსა და დელ პიეროს დაპირისპირების სალერღელი აუშალათ.

„ეს დაპირისპირება მასმედიის მოგონილი და უსაფუძვლოა. მე და ბაჯოს უამრავჯერ გამოგვითქვამს ერთმანეთისადმი პატივისცემა და ჩვენს შორის არანაირი დაპირისპირება არ არსებობს. ჩვენ იტალიის ნაკრებში რამდენიმე წლის მანძილზე ერთსა და იმავე ფუნქციას ვასრულებდით, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თუ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთს წაიყვანენ, მეორე ავტომატურად ზედმეტი ხდება. პირადად მე, ვფიქრობ, დავიმსახურე იაპონია-კორეაში გამგზავრება და არც ტრაპატონის დაუყენებია ჩემი საკითხი ოდესმე ეჭვქვეშ. ერთი სიტყვით, მსოფლიოს ჩემპიონატზე ვიქნები და მთელი ეს ჟრიამული არ მაინტერესებს. ჩემსა და ბაჯოს შორისაც, როგორც გითხარით, ყველაფერი ნათელია. ისე კი, უნდა გამოგიტყდეთ, რომ ბაჯოს სწრაფმა გამოჯანმრთელებამ ძალიან გამაოცა — ის მოედანს დაუბრუნდა და გოლებიც კი შეაგდო. თუმცა კვირას ერთმანეთის პირისპირ სულაც არ წარსდგებიან დელ პიერო და ბაჯო, ერთმანეთს „იუვენტუსი" და „ბრეშა" დაუპირისპირდებიან".

**ბაკურა ძიძია**



ფრანგი ჟანდარმი დანიელ ნიველი ოთხი წლია ინვალიდის ეტლსაა მიჯაჭვული





ალესანდრო დელ პიერომ, ბაჯოსთან გასაყოფი რა მაქვსო

# დახლიდან ციხეში და შკან

**გონებას** თუ დაძაბავთ, ეგებ გაიხსენოთ ვინმე მარკუს ვარნეკე. არა, დიდი ფეხბურთი არასოდეს უთამაშია და ამა თუ იმ კლუბთა შემადგენლობაში ტყუილად მოძებნით. იგი ქალაქ ჰანოვერის გარეუბანში ცხოვრობს. გერმანელს და გერმანიის ნაკრების გულშემატკივარს საკუთარი მაღაზია აქვს, სადაც შეგიძლიათ, შეიძინოთ ყველაფერი, რაც ადამიანის სხეულის მოხატვასთანაა დაკავშირებული.

1998 წლის ზაფხულში მარკუს ვარნეკემ ალებ-მიცემობის საქმე დროებით მიატოვა. მიზეზი მსოფლიოს ჩემპიონატი გახლდათ, სადაც ბუნდესნაკრებიც ბურთაობდა. ამფსონებთან ერთად საფრანგეთში საქომაგოდ წასული გერმანელი 21 ივნისს ლანსში აღმოჩნდა. იქ იუგოსლავიის ნაკრები გერმანიისას ხვდებოდა. ბევრი იარეს თუ ცოტა, მეგობრებმა მატჩზე დასასწრები ბილეთები ვერაფრით მოიხელთეს და გულმოსულები გვარიანად გამოთვრნენ. დაიწყეს შარის ძიება, რასაც მალევე გადააწყდნენ. თავისი საქმის პატრონად შემსრულებელ ფრანგ პოლიციელებს აეკვიატნენ, რასაც ხელჩართული ჯახაჯუხი მოჰყვა.



მარკუს ვარნეკე

შედეგად ერთ-ერთი ჟანდარმი, დანიელ ნიველი, სამუდამოდ დაინვალიდდა. ნიველის გაუბედურებაში მარკუს ვარნეკეს ხელი პირდაპირ ურევია. შფოთისთავი გერმანელი იმავე დღეს აიყვანეს და გისოსებს მიღმა დააკავეს.

საქმის ძიება კარგა ხანს გაიწელა. საბოლოოდ, 2001 წლის 22 მაისს, მარკუსი დამნაშავედ ცნეს და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. მისი დამქაშები გერმანულ მხარეს გადასცეს, სადაც ისინი 1999 წელსვე გაასამართლეს. ვარნეკემ 4 წელიწადი პა დეკალეს ციხეში გაატარა. მიუხედავად იმისა, რომ ხუთი ჰქონდა მისჯილი, კარგი საქციელისთვის ადრევე გაათავისუფლეს. 31 წლის სასჯელმოხდილი ფრანგულმა პოლიციამ საფრანგეთ-გერმანიის საზღვრამდე მიაცილა, სადაც იგი საზღვრისპირა ქალაქ კელის გერმანულმა პოლიციამ ჩაიბარა. დღეს ის თავისუფალია და შეუძლია, თავის მაღაზიას დაუბრუნდეს, თუმცა მისგან დაინვალიდებული კაცი ჩვეულ ცხოვრებას ვეღარასოდეს დაუბრუნდება. მარკუს ვარნეკეს ადვოკატმა კლიენტის გათავისუფლების შემდეგ ამოისუნთქა: „მას საზოგადოებისა აღარაფერი მართებს. იგი თავის საქმეს გააგრძელებს".

**ვაჟა ხუციშვილი**

# წინასწარმეტყველი მეჰმეთი

**ფეხბურთის** გულშემატკივრებმა, ალბათ, ნახეს გერმანია — არგენტინის ამხანაგური მატჩი. უპოგრიტო თვალიც კი შეამჩნევდა, რომ გერმანელებს ყველაფერთან ერთად აკლდათ მთავარი — შემოქმედი. დღეს რუდი ფიოლერის ნაკრებში შემოქმედების დეფიციტია, რომელიც შესაძლოა, მეჰმეთ შოლს შეევსო, მაგრამ ფიოლერს მანაც უგანა.

როცა საქართველო-თურქეთის საზღვარი გაიხსნა, უამრავმა ჩვენმა თანამემამულემ მეზობელ ქვეყანას მიაშურა სამუშაოდ. ასევე იყვნენ თავის დროზე თურქებიც, რომლებმაც სარჩო-საბადებლის ძიებაში გერმანიას შეაფარეს თავი. მაგალითად, წავიდოდა ხშირულვაშა ოსმალო სადღაც კარლსრუეში ბედის საძიებლად და იქ თეთრი გერმანელი ქალი შავ თურქ კაცს გადაეყრებოდა, რასაც დედით გერმანელი და მამით თურქი ბავშვის გაჩენა მიჰყვებოდა. სწორედ ასეთი კავშირი მერე მოევლინა ქვეყანას მეჰმეთ შოლი 1970 წლის 16 ოქტომბერს კარლსრუეში.

მართალია, მუნდიალის დაწყებამდე საკმაო დრო დარჩა, მაგრამ შოლმა კორეა-იაპონიაში წასვლა იუარა. ამის შესახებ მან გერმანიის საფეხბურთო კავშირს აცნობა: „ადრევე ვგრძნობდი, რომ ვერ შევძლებდი, ახლა კი დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემი თამაში გამორიცხულია. ცხადია, დასანანია, თუმცა, ვფიქრობ, რომ ფიოლერი გამიგებს. ჯანმრთელობის გაუარესებამ იძულებული გამხადა, ასეთი გადაწყვეტილება მიმეღო".



მეჰმეთ შოლისთვის (№7) მსოფლიოს ჩემპიონატი უკვე დასრულდა

გეხსომებათ, რომ მეჰმეთ შოლმა ბუნდესლიგის ბოლო ტურში, „ჰერტასთან" მატჩში, 70 წუთი ითამაშა. მერე იგი სანტა კრუზმა შეცვალა, რადგან შოლს ნატკენმა ფეხის კუნთმა თავი შეახსენა.

ბუნდესნაკრების თავკაცს უნახავს ეს თამაში და განრისხებულა კიდეც, რატომ გარისკა და მინდორზე რატომ გავიდაო: „ნაკრებს მისი დახმარება სჭირდება, მისი იმედი მქონდა, თანაც ბოლოს საგანგებოდ შევხვდი და ტრავმის შესახებ დაწვრილებით მიამბო. შოლი „ჰერტასთან" სათამაშოდ არ უნდა გასულიყო".

მეჰმეთს მსოფლიოს ჩემპიონატებზე არასდროს უბურთავია. მისი არყოფნა ამჯერად რუდი ფიოლერის ნაკრების შანსებს კიდევ უფრო შეამცირებს. ცნობილია, რომ სებასტიან დაისლერის ჯანმრთელობის ამბავი ჯერაც გაურკვეველია. თუ ასე გაგრძელდა, ბუნდესნაკრები ლევერკუზენელი მიხაელ ბალაკის იმედზეღა დარჩება.

1994 და 1998 წლების მსოფლიოს ჩემპიონატებზე ბერტი ფოგტსი თითქოს აპირებდა შოლის წაყვანას, მაგრამ ორჯერვე ბოლო მომენტში ამოაგდო შემადგენლობიდან. 2000 წლის ევროპის ჩემპიონატზე კი ერიხ რიბეკის დაჩანაკებული ნაკრების ერთადერთი ნათელი წერტილი სწორედ მეჰმეთ შოლი იყო.

**ვაჟა ხუციშვილი**


## იყიდება

ბინა ინდივიდუალური პროექტით აშენებული
რვაბინიანი სახლის მესამე სართულზე
საცხოვრებელი ფართი 250 მ².
დამხმარე ფართი 80 მ² პირველ სართულზე

ფასი შეთანხმებით

ირაკლი აბაშიძის გამზირი №7
კინოთეატრ "სულიკოსთან"

☎ (231) 7 17 58

ქუთაისში




## შვედეთი

III ტური

კალმარი ⅼ ჰამარბი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| იორგრიტე | 3 | 3 | 0 | 0 | 6:2 | 9 |
| ლანდსკრონა | 3 | 2 | 1 | 0 | 11:5 | 7 |
| ელფსბორგი | 3 | 2 | 1 | 0 | 5:2 | 7 |
| იურგორდენი | 3 | 1 | 1 | 1 | 6:6 | 4 |
| სუნდსვალი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| გიოტებორგი | 3 | 1 | 1 | 1 | 4:4 | 4 |
| იორებრო | 3 | 1 | 1 | 1 | 3:4 | 4 |
| კალმარი | 3 | 1 | 1 | 1 | 2:3 | 4 |
| მალმიო | 3 | 1 | 0 | 2 | 4:3 | 3 |
| ნორჩიოპინგი | 3 | 1 | 0 | 2 | 3:5 | 3 |
| ჰელსინგბორგი | 3 | 1 | 0 | 2 | 6:9 | 3 |
| აიკ | 3 | 1 | 0 | 2 | 5:8 | 3 |
| ჰალმსტადი | 3 | 0 | 2 | 1 | 2:3 | 2 |
| ჰამარბი | 3 | 0 | 1 | 2 | 5:8 | 1 |


## იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით

ტელ: 60-21-23



# მსოფლიოს ჩემპიონატი

## H ჯგუფი: იაპონია, ბელგია, რუსეთი, ტუნისი




**ფართობი:** 30 510 კმ²
**მოსახლეობა:** 10 200 000
**დედაქალაქი:** ბრიუსელი
*ფეხბურთის ფედერაცია დაარსდა 1895 წელს*
ფიფას წევრი 1904 წლიდან
უეფას წევრი 1954 წლიდან
**ფედერაციის პრეზიდენტი:** ჟან პეეტერსი
**გენერალური მდივანი:** ჟან-პოლ უბენი
**სტადიონი:** „მეფე ბოდუინი" (52 000)
**მწვრთნელი:** რობერ ვასეჟი
**კაპიტანი:** მარკ ვილმოტსი
**ფორმა:** წითელი მაისური, წითელი ტრუსი, წითელი გეტრები
**ტიტულიანი კლუბები:** „ანდერლეხტი", „სტანდარდი", „ბრიუგე", „ანტვერპენი", „მეხელენი", „შარლერუა", „ლიერსი", „ბევერენი"
**ადგილი ფიფა-კოკა კოლას რეიტინგში:** 22




## არის ასეთი ქვეყანა

2 თავი სჯობს ერთს, 2 პური სჯობს ერთს, 2 გოლი (გატანილი) სჯობს ერთს და ერთ ქვეყანაში ორი ერი ერთს ნაღდად არ სჯობს, რადგან ამ დროს წარმოიშვება ხოლმე ისეთი მამაძაღლური მოვლენები, როგორიცაა აგრესიული სეპარატიზმი, ეთნიკური კონფლიქტები, ეროვნული დისკრიმინაცია და ასე შემდეგ — თვით დაწინაურებულ ბელგიაში ფრანგულენოვანი ვალონები ფლამანდელებს შევიწროებისთვის უჩივიან, თუმცა ქვეყანაში ფირნიშს ვერ ნახავთ, ფლამანდურთან ერთად ფრანგული წარწერა რომ არ ჰქონდეს, ვალონები პარლამენტის და მთავრობის მოზრდილ პროცენტს შეადგენენ და ხანდახან მაინც ხმაურობენ. ნეტავი იმათ ხმაურს, მეტი საზრუნავი რომ არ აწუხებთ.

რას ნიშნავს „ბენილუქსი"? ბელგიას, ნიდერლანდს და ლუქსემბურგს. ეს სამი ქვეყანა ევროპის კოლორიტულ რეგიონს ქმნის, რომელსაც ევროპული ცივილიზაცია დიდ ქვეყნებზე მეტად ეტყობა. ბრიუსელი პატარა პარიზია, სადაც ნატურალურ პარიზზე ნაკლებად ილლები, ოღონდ ეს მაშინ, თუ მიზნად ყველა ძეგლის და მუზეუმის დათვალიერება არ დაისახე: მათი რიცხვი პლუს უსასრულობამდე აღწევს.

ერთ მუზეუმს მიგასწავლით, იგი ბრიუსელის ახლოს, სოფელ ვატერლოოს მინდორზეა და ძლიერ ღარიბად შეიცავს ექსპონატებს. იქ ხელშესახები შეიძლება იყოს ქოხი, რომელშიც ნაპოლეონმა შტაბი გამართა ან ჰერცოგ ველინგტონის სამართებო, მაგრამ სხვა არც არაფერი, ერთი ჩვეულებრივი მინდორია. მაგრამ, თუ ისტორიამ აგახურტრუცათ და დიდი ომის სურნელი მოგინდათ, დადექით შუა ვატერლოოს ველზე და წარმოიდგინეთ ბონაპარტეს გვარდია, მდგარი ინგლისელთა ალყის წრეში და დანებების წინადადებაზე უშვერი გინებით და ხიშტებით მოპასუხე. ბელგიაში მოხდა ეს ამბავი.

**დავით გულუა**



# ვინც არ არის სტაბილური...

დღევანდელი ბელგიის ნაკრები 80-იანი წლების წინამორბედივით ძლიერი არ არის, მაგრამ იმ გუნდის მაგალითი, რომელმაც 1986 წლის მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი დაიკავა, დღევანდელ თაობასაც დადებითად მუხტავს.

ახლო წარსულში „წითელ ეშმაკუნებს" მართლაც საუცხოო ნაკრები ჰყავდათ: ერიკ გერეტსი, იან კულემანსი, ერვინ ვან დერ ბერგი, ფრენკ ვერკოტერენი და ენცო შიფო ევროპული დონის ფეხბურთელები იყვნენ. მეკარეების ამბავი ხომ სულაც ცალკე თემაა. ჯერ ჟან-მარი პფაფს, მერე კი მიშელ პრიუდომს ბადალი ძნელად მოეძებნებოდათ. ბედის ირონიით, დღეს ბელგიელთა სუსტი წერტილი სწორედ სტაბილურ მეკარის არყოლაა. ორმოცს მიტანებული ფილიპ დე ვილდეს ადგილი ბოლო დროს 30 წლის ვილემელმა გერტ დე ფლიგერმა დაიკავა. ძნელი სათქმელია, ასეთ ასაკში დამკვიდრება კარგია თუ ცუდი, თავის დროზე ხომ დე ვილდეც გვიან გამოჩნდა და როგორც ამბობენ, წლების მანძილზე პრიუდომის სათადარიგოდ ყოფნამ დალუპა. დე ფლიგერის ოსტატობა ალბათ ეჭვს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატის დროს არსებულმა ფსიქოლოგიურმა წნეხმა, შესაძლოა, მისი გამძლეობა შეარყიოს. კიდევ ერთი კანდიდატი „გენტის" 27 წლის კარის დარაჯი ფრედერიკ ჰერპულია.

მაინც როგორი გუნდია ბელგია? ორიოდ სიტყვით ალბათ ასე შეიძლება ვთქვათ: სტაბილური და საშუალო კლასის ფეხბურთელების ნაკრები. ცალცალკე თითქოს შეუმჩნევლნი არიან, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატზე ზედიზედ მეექვსედ მოხვდნენ და ეს მათ სიმტკიცესა და განსწავლულობაზე მიუთითებს. თუნდაც გასული შემოდგომის პლეიოფი გავიხსენოთ, როცა წყვილის აშკარა ფავორიტ ჩეხეთს მოულოდნელად ორივე თამაში მოუგეს.

თავის დროზე ბელგიელებს არა ერთხელ გაუოცებიათ ფეხბურთის ქომაგები. მაგალითად 1982-ში, როცა ესპანეთის მუნდიალის გახსნის მატჩში ჯერაც მსოფლიოს ჩემპიონ, ახალგაზრდა მარადონათი გაძლიერებულ არგენტინას 1:0 სძლიეს. 1986-ში კი ჩემპიონატს მიღმა მეზობელი ჰოლანდიელები დატოვეს, ჯგუფური ეტაპი რომ გაიარეს, ტურნირს საბჭოთა კავშირისა და ესპანეთის ძლიერი გუნდებიც ჩამოაცილეს, მაგრამ ნახევარფინალში ველარაფერი მოუხერხეს დიეგო მარადონას აწყვეტილ არგენტინას, 0:2 დამარცხდნენ და საბოლოოდ მეოთხე ადგილს დასჯერდნენ.


რობერ ვასეჟი

დღევანდელი ნაკრების სტაბილურ თამაშს უპირველესად 63 წლის მწვრთნელ რობერ ვასეჟს უკავშირებენ, რომელმაც 1999 წლის აგვისტოში ჩაფლავებული ჟორჟ ლიკენსი შეცვალა. ბელგიური სამწვრთნელო ტრადიცია თამაშისადმი ღრმააზროვან და ფსიქოლოგიურ მიდგომას ნაკლებად ითვალისწინებს. მწვრთნელი „მამა" ან „ძმაბიჭი" უნდა იყოს, მადიანად აბოლებდეს სიგარას და ერთი-ორი ჭიქა შავი ღვინო უყვარდეს. ასეთი იყო ლეგენდარული გი ტისი, ასეთია ვასეჟიც. თუმცა თუ რომელიმე ფეხბურთელი მწვრთნელთან ფრანგულად ან ფლამანდიურად (ვასეჟმა ორივე ენა ჩინებულად იცის) გულდაგულ საუბარს მოინდომებს და სიტყვას მაღალ მატერიებზე ჩამოაგდებს, ვასეჟი არც აქ დაიბნევა, ჭაბუკობაში ის ლათინურსა და ძველბერძნულს, მოგვიანებით კი ლიტერატურასა და ფილოსოფიას სწავლობდა. თითქოს ასაკოვანია, მაგრამ მისმა ცოტა მოძველებულმა მეთოდებმა მაინც გაამართლა. უპირველესად მან შიდაგუნდური ურთიერთობები მოაწესრიგა, ყველა ფეხბურთელს აგრძნობინა, რომ ეროვნული გუნდისთვის მნიშვნელოვანი ფიგურაა. ამას დაუმატეთ სწორი ტაქტიკა და ვასეჟის დევიზი: მუშაობა, მუშაობა და მუშაობა... და ბელგიელთა წარმატების გასაღებიც ხელში გექნებათ.

ევრო 2000-ზე ვასეჟის გუნდმა ჯგუფიდან ვერ გააღწია, რაც ტურნირის მასპინძლის კვალობაზე ძალიან ცუდი შედეგი იყო, მაგრამ ეტყობა „ეშმაკუნებისგან" ბევრს არც არავინ ელოდა და მწვრთნელისთვის კონტრაქტი არ შეუწყვეტავთ. სწორედაც მოიქცნენ, ბოლო დროს ბელგიელთა თამაში უფრო დაიხვეწა და აკი კორეა-იაპონიაშიც მიემგზავრებიან.

უკვე ვთქვით, ბელგიელებს მკვეთრად გამორჩეული არავინ ჰყავთო, თუმცა ისეთები მაინც არიან, გუნდის ხერხემალს რომ უწოდებენ: შუახაზელები ბარტ გოორი, გერტ ვერჰეინი და მარკ ვილმოტსი, ასევე შემტევი ემილ მპენზა.

29 წლის მარცხენა ნახევარმცველი გოორი ნაღდად ბელგიური ხასიათის ფეხბურთელია: მებრძოლი და სტაბილური. ნაკრებში სულ მესამე წელია თამაშობს, მაგრამ უკვე მთავარი კაცია. ბერლინის „ჰერტას" მოთამაშემ გასულ ზამთარს მძიმე ტრავმა გადაიტანა, თუმცა მოსალოდნელზე ადრე მომჯობინდა და საზაფხულოდ, ალბათ, ჩინებულ ფორმაში იქნება.

შალკელ ვილმოტსს ბელგიელი მწვრთნელები გამოკვეთილ თავდამსხმელად ათამაშებდნენ, მაგრამ გერმანიაში ნახევარდაცვაში დაწიეს და ჩანაფიქრმა გაამართლა, ვილმოტსი უფრო სასარგებლო მოთამაშე გახდა და არც გოლების გატანა შეუწყვეტია. ეს პრაქტიკა, ცხადია, „ეშმაკუნებმაც" გადაიღეს. ვილმოტსზე ამბობენ, ერთ-ერთი იშვიათთაგანია, ვისაც რთულ ვითარებაში თანაგუნდელების გაძღოლა შეუძლიაო.

კიდევ ერთი შალკელი, 23 წლის ემილ ლოკონდა მპენზა ხასიათის ფეხბურთელია. თუ თამაში წაუვიდა მტრისას, თუ არა და... მისი მთავარი ღირსება კი გასაოცარი სასტარტო სიჩქარეა.

ახლახან, სლოვაკეთთან ამხანაგურ მატჩში (1:1) ვასეჟმა ქინქლაძის ღერბელი თანაგუნდელი, წარმოშობით ხორვატი ბრანკო შტრუპარიც ათამაშა. 32 წლის თავდამსხმელი ეროვნულ გუნდში 19 თვე აღარ გამოჩენილიყო და ტრავმებით გაწამებული კარიერის დასრულებასაც აპირებდა, მაგრამ მოულოდნელად მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი მიეცა.

ვასეჟი ამბობს, რომ მისი კრედო შემადგენლობის სტაბილურობაა და ექსპერიმენტების დრო დამთავრდა. ნაკრებში მოხვდება მხოლოდ ის, ვინც ნიადაგ დაუზარელად ვარჯიშობს და თავისი კლუბის ძირითადში ხვდება.

**სოლომონ გულისაშვილი**

## განრიგი

**4 ივნისი**
საიტამა (იაპონია) 13.00 საათი
„საიტამა სტადიუმ 2002"
ბელგია – იაპონია

**10 ივნისი**
ოიტა (იაპონია) 13.00 საათი
„ოიტა სტადიუმ ბიგ ეიე"
ბელგია – ტუნისი

**14 ივნისი**
შიზუოკა (იაპონია) 15.30 საათი
„შიზუოკა სტადიუმ ეკოპა"
ბელგია – რუსეთი

*მატჩების დასაწყისი — თბილისის დროით*

## გზა მსოფლიოსკენ

**I შესარჩევი ეტაპი. VI ჯგუფი**

02.09.00
ბელგია 0:0 ხორვატია
07.10.00
ლატვია 0:4 ბელგია
28.02.01
ბელგია 10:1 სან მარინო
24.03.01
შოტლანდია 2:2 ბელგია
02.06.01
ბელგია 3:1 ლატვია
06.06.01
სან მარინო 1:4 ბელგია
05.09.01
ბელგია 2:0 შოტლანდია
06.10.01
ხორვატია 1:0 ბელგია

**საბოლოო ცხრილი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ხორვატია | 8 | 5 | 3 | 0 | 15:2 | 18 |
| ბელგია | 8 | 5 | 2 | 1 | 25:6 | 17 |
| შოტლანდია | 8 | 4 | 3 | 1 | 12:6 | 15 |
| ლატვია | 8 | 1 | 1 | 6 | 5:16 | 4 |
| სან მარინო | 8 | 0 | 1 | 7 | 3:30 | 1 |

**II შესარჩევი ეტაპი. პლეი ოფი**

10.11.01
ბელგია 1:0 ჩეხეთი
14.11.01
ჩეხეთი 0:1 ბელგია

## ტიტულები

მსოფლიოს ჩემპიონატზე მეოთხე ადგილი (1): 1986
ევროპის ვიცე-ჩემპიონი (1): 1980
ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორი (1): 1972
ოლიმპიური ჩემპიონი (1): 1920
ოლიმპიადის ბრინჯაოს მედალოსანი (1): 1972

## ოპტიმალური შემადგენლობა



[illegible]

სარბიელი და კროკო

წარმოგიდგენთ

# ევროპის ქვეყნების ეროვნული ჩემპიონატების კოეფიციენტები და სტატისტიკა

## შენიშვნები ბადე-ცხრილისთვის

**ტურის წყვილებში**
მასპინძლის წინ და სტუმრის შემდეგ მოცემულია მიმდინარე სეზონის ბოლო სამი მატჩის შედეგი. მეტოქის წინ დასმული ანგარიში სტუმრად გამართული მატჩისაა, მეტოქის შემდეგ მითითებული კი საშინაოსი. ბოლო სამ განყოფილებაში მითითებული წლების წინ „მს" აღნიშნავს მიმდინარე სეზონის შედეგს ან შედეგებს

**გუნდის გვერდით**
მარცხნივ მოცემულია ადგილი სატურნირო ცხრილში, მარჯვნივ, ფრჩხილებში (1) წინა სეზონში დაკავებული ადგილი, (დ) - დებიუტანტს აღნიშნავს

**დიაგონალს ზევით და ქვევით**
გუნდის გასწვრივ მოცემულია მასპინძლის მოედანზე გამართული მატჩის შედეგი და უახლოეს ხანს გასამართი შეხვედრის თარიღი

**სამმაგ ცხრილში**
პირველ, ექვსსვეტიან განყოფილებაში მოცემულია საერთო, ჯამური, მეორე, ხუთსვეტიანში – საშინაო, მესამეში კი საგარეო მონაგარი

**გერმანია. ბუნდესლიგა. XXXIII ტური. 27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.30 | 001 | ვოლფსბურგი-ბაიერნი | 4,2 | 3,5 | 1,65 | 1,9 | 1,15 | 1,1 |
| 18.30 | 002 | მიუნხენი-შტუტგარტი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 18.30 | 003 | კაიზერსლაუტერნი-კოტბუსი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 18.30 | 004 | კიოლნი-ფრაიბურგი | 2,3 | 3,3 | 2,0 | 1,35 | 1,05 | 1,2 |
| 18.30 | 005 | ჰამბურგი-დორტმუნდი | 3,6 | 3,4 | 1,75 | 1,7 | 1,15 | 1,15 |
| 18.30 | 006 | ვერდერი-სტ. პაული | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,05 | 3,55 |
| 18.30 | 007 | ნიურნბერგი-ლევერკუზენი | 3,6 | 3,3 | 1,8 | 1,7 | 1,1 | 1,15 |
| 18.30 | 008 | ჰერტა-შალკე | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |
| 18.30 | 009 | ჰანზა-მიონხენგლადბახი | 2,2 | 2,5 | 3,6 | 1,15 | 1,35 | 1,45 |

**ინგლისი. I დივიზიონი. პლეი ოფი. I მატჩები. 28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 048 | ბირმინგემი-მილუოლი | 2,0 | 3,0 | 3,5 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 18.30 | 049 | ნორვიჩი-ვულვერჰემპტონი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |

**ინგლისი. II დივიზიონი. პლეი ოფი. I მატჩები. 28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 050 | ჰადერსფილდი-ბრენტფორდი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 19.00 | 051 | სტოკი-კარდიფი | 2,2 | 3,1 | 3,0 | 1,25 | 1,25 | 1,5 |

**ინგლისი. III დივიზიონი. პლეი ოფი. I მატჩები. 27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 052 | ჰარტლპული-ჩელტენემი | 2,1 | 3,1 | 3,2 | 1,2 | 1,25 | 1,55 |
| 19.00 | 053 | რაშდენი-როჩდეილი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. XXXIII ტური. 27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 054 | ბორდო-ლიონი | 2,7 | 3,2 | 2,3 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 23.00 | 055 | ლანსი-გენგამი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 23.00 | 056 | ლორიანი-მარსელი | 1,6 | 3,2 | 3,2 | 1,05 | 1,05 | 1,6 |
| 23.00 | 057 | მონაკო-ოსერი | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| 23.00 | 058 | მონპელიე-ნანტი | 2,3 | 2,4 | 3,4 | 1,15 | 1,35 | 1,4 |
| 23.00 | 059 | პსჟ-მეცი | 1,5 | 3,6 | 4,4 | 1,05 | 1,1 | 1,95 |
| 23.00 | 060 | რენი-სედანი | 1,55 | 3,4 | 4,4 | 1,05 | 1,1 | 1,9 |
| 23.00 | 061 | სოშო-ლილი | 2,4 | 3,0 | 2,4 | 1,3 | 1,2 | 1,3 |
| 23.00 | 062 | ტროა-ბასტია | 1,75 | 2,7 | 5,0 | 1,05 | 1,2 | 1,7 |

**იტალია. სერია „ა". XXXIII ტური. 28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 073 | ატალანტა-პერუჯა | 2,0 | 2,0 | 4,7 | 1 | 1,4 | 1,4 |
| 18.00 | 074 | ბოლონია-ლაციო | 2,5 | 2,9 | 2,6 | 1,3 | 1,25 | 1,35 |
| 18.00 | 075 | ფიორენტინა-პარმა | 4,0 | 3,6 | 1,2 | 1,85 | 1 | 1 |
| 18.00 | 076 | ინტერი-პიაჩენცა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,05 | 3,55 |
| 18.00 | 077 | იუვენტუსი-ბრეშა | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1 | 1,05 | 3,55 |
| 18.00 | 078 | ლეჩე-უდინეზე | 4,0 | 3,6 | 1,2 | 1,85 | 1 | 1 |
| 18.00 | 079 | რომა-კომო | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |
| 18.00 | 080 | ვენეცია-ტორინო | 3,6 | 2,8 | 2,0 | 1,55 | 1,25 | 1,15 |
| 18.00 | 081 | ვერონა-მილანი | 3,1 | 2,8 | 2,3 | 1,45 | 1,3 | 1,25 |

**ესპანეთი I დივიზიონი. XXXVI ტური. 27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 110 | ბარსელონა-ვილიარეალი | 1,3 | 4,4 | 8,0 | 1 | 1,1 | 2,8 |
| 00.30 | 111 | სოსიედადი-რეალი | 4,0 | 3,2 | 1,75 | 1,75 | 1,2 | 1,1 |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 21.00 | 112 | სარაგოსა-სელტა | 2,5 | 3,0 | 2,5 | 1,35 | 1,2 | 1,35 |
| 21.00 | 113 | სევილია-ალავესი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 21.00 | 114 | რაიო-ბილბაო | 1,9 | 3,2 | 3,4 | 1,15 | 1,2 | 1,6 |
| 21.00 | 115 | ოსასუნა-ლას პალმასი | 1,85 | 3,2 | 3,6 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
| 21.00 | 116 | მალიორკა-ბეტისი | 2,3 | 3,1 | 2,8 | 1,3 | 1,25 | 1,45 |
| 21.00 | 117 | ვალენსია-ესპანიოლი | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1 | 1,05 | 3,2 |
| 22.00 | 118 | ტენერიფე-ვალიადოლიდი | 1,75 | 3,4 | 3,6 | 1,15 | 1,15 | 1,7 |
| 23.00 | 119 | დეპორტივო-მალაგა | 1,4 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,15 | 2,45 |

**ჰოლანდია. I დივიზიონი. გადადებული მატჩები. 25 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 152 | გრააფსხაპი-ფეიენოორდი | 4,4 | 3,4 | 1,65 | 1,9 | 1,2 | 1,1 |

**ბელგია. I დივიზიონი. XXXIII ტური. 27 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 171 | შარლერუა-ლომელი | 1,7 | 3,3 | 4,2 | 1,1 | 1,2 | 1,8 |
| | | **28 აპრილი** | | | | | | |
| 18.00 | 172 | ბევერენი-ლევენი | 2,7 | 3,2 | 2,2 | 1,45 | 1,2 | 1,3 |
| 18.00 | 173 | ლოკერენი-ანდერლეხტი | 2,6 | 3,1 | 2,4 | 1,4 | 1,2 | 1,3 |
| 18.00 | 174 | ვესტერლო-გენკი | 4,4 | 3,6 | 1,6 | 1,95 | 1,15 | 1,1 |
| 18.00 | 175 | მუსკრონი-ლიერსი | 1,4 | 4,0 | 6,5 | 1 | 1,1 | 2,45 |
| 18.00 | 176 | სტ. ტრუიდენი-ბრიუგე | 4,2 | 3,5 | 1,65 | 1,9 | 1,15 | 1,1 |
| 18.00 | 177 | მოლენბეკი-აალსტი | 1,5 | 3,8 | 4,7 | 1,05 | 1,1 | 2,1 |
| 18.00 | 178 | სტანდარდი-გენტი | 1,85 | 3,3 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,6 |
| 18.00 | 179 | ანტვერპენი-ბეერსხოტი | 2,2 | 3,1 | 2,8 | 1,25 | 1,2 | 1,45 |

**თურქეთი. XXXIII ტური. 28 აპრილი**

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 16.30 | 214 | ბურსა-ფენერბაჩე | 4,0 | 3,2 | 1,75 | 1,75 | 1,2 | 1,1 |
| 16.30 | 215 | ისთანბულსპორი-რიზე | 1,9 | 3,4 | 2,0 | 1,2 | 1 | 1,25 |
| 16.30 | 216 | იოზგათი-გაზიანთეფი | 2,6 | 3,4 | 1,7 | 1,45 | 1 | 1,1 |
| 16.30 | 217 | ქოჯაელი-გალათასარაი | 4,0 | 3,2 | 1,75 | 1,75 | 1,2 | 1,1 |
| 16.30 | 218 | ბეშიქთაში-გიოზთეპე | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1 | 1,1 | 2,45 |
| 16.30 | 219 | ტრაბზონი-გენჩლერბირლიგი | 2,0 | 3,1 | 3,4 | 1,2 | 1,25 | 1,6 |
| 16.30 | 220 | დიარბაქირი-მალათია | 1,75 | 3,0 | 4,4 | 1,1 | 1,2 | 1,75 |
| 16.30 | 221 | სამსუნი-ანთალია | 1,9 | 3,2 | 3,5 | 1,15 | 1,2 | 1,65 |
**— თქვენ ერთობ აქტიურად ხართ ჩაბმული სპორტულ ცხოვრებაში და საკმაო თანხებსაც იღებთ მის დასაფინანსებლად. რამ გადაგაწყვეტინათ ყოველივე ეს?**

— დღეს ჩვენს სპორტს ძალიან უჭირს, ხოლო ხელისუფლებამ პრაქტიკულად დაივიწყა, რომ სპორტი არის ქვეყნის ერთ-ერთი ყველაზე წარმოსაჩენი სფერო. კარგად ვიცი, რა პრობლემები აქვთ ჩვენს სპორტსმენებს და რა სჭირდებათ მათ საერთაშორისო დონეზე წარმატებისთვის. ამიტომაც „ყაზბეგის" წარმოებებმა შექმნეს სპეციალური საქველმოქმედო ფონდი, რომლითაც სპორტის გარდა ხელოვნების და განათლების სფეროებსაც ვეხმარებით.

**— და ამ ფონდს „გოგი თოფაძის ფონდი" ჰქვია. მიგაჩნიათ, რომ ამან, როგორც პოლიტიკოსს, გარკვეული დივიდენდები მოგიტანათ?**

— ამ საკითხს სხვანაირად უნდა მივუდგეთ. ქველმოქმედება ჩვენი საგადასახადო სისტემის პირობებში ძნელია — ჩვენი ფონდი, ფაქტობრივად, ხუთი წელია, არსებობს, მაგრამ მისი ლეგალიზაცია მხოლოდ შარშანწინ მოხდა. არ შეიძლება, ქველმოქმედებას რალაც-რალაცეები მივაბათ. ქველმოქმედება ყველა ქართველი ბიზნესმენის მოვალეობაა, ქვეყანაში ხომ ბევრი გაჭირვებულია. ასე რომ, ქველმოქმედება მხოლოდ რეკლამა არ არის, ის მოვალეობაცაა.

**— თქვენ სპორტის ზამთრის სახეობათა ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ბრძანდებით. რატომ აირჩიეთ მაინცდამაინც ზამთრის სახეობები? თხილამურებით სრიალზსა და გუდაურის თუ ბაკურიანის ძვირადღირებულ სასტუმროებზე ხომ საქართველოში მხოლოდ უმდიდრეს, მცირერიცხოვან სოციალურ ფენას მიუწვდება ხელი. ამით ძალაუნებურად გოგი თოფაძის, როგორც ნამდვილი ბურჟუას იმიჯი ხომ არ ყალიბდება — არ გიფიქრიათ ამაზე?**

— ასეთ შეხედულებებს ვერ დავეთანხმები. საქართველოში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა არ იძლევა იმის საშუალებას, რომ სპორტის ყველა სახეობა თანაბრად განვითარდეს. ჩვენ 12-15 პრიორიტეტული სახეობა უნდა შევარჩიოთ — მე ასე მიმაჩნია. სამთოთხილამურობა კი ჭეშმარიტად ქართული სპორტია. გვაქვს თოვლიანი მთები, გვყვანან მუხლმაგარი ბიჭები და თუ მათ ელემენტარულ პირობებს შევუქმნით, სპორტის ზამთრის სახეობებში კარგი პერსპექტივებიც გამოგვიჩნდება. თანაც სამთო-სათხილამურო სპორტითა და ტურიზმი სერიოზული ბიზნესის განვითარებაც შეიძლება და საქართველოში არის ამის საშუალება.

**— წმინდა საქმიანი კუთხით მივუდგეთ ამ საკითხს — თქვენ ზამთრის სახეობებისთვის, ალბათ, სოლიდური თანხა გაქვთ დახარჯული და ხედავთ იმის პერსპექტივას, რომ ჩადებული ფულისგან მოგება მიიღოთ?**

— ბაკურიანში ორი სასტუმრო უკვე ავაშენეთ, ახლა მესამეს ვაშენებთ, რომელიც ძალიან თანამედროვე იქნება. საბაგირო გზებიც მოვაწყვეთ და იმედი გვაქვს, რომ მომავალი წლიდან საერთაშორისო სტანდარტებს მივუახლოვდებით. ამით ჩვენს სპორტსმენებს მომზადების საშუალება მიეცემათ — მათი ძირითადი ბირთვი ახლა ავსტრიაში ემზადება, სადაც მათთვის სასტუმროს ვქირაობთ და იქ ისინი წელიწადში რვა-ცხრა თვე ცხოვრობენ, ხოლო ბაზის გახსნა ბაკურიანში იმის საშუალებას მოგვცემს, რომ მათ ხუთი თვე სამშობლოში გაიარონ მოსამზადებელი პერიოდი. რაც შეეხება ბიზნესს, ბაკურიანი ისეთი სამოთხე გვაქვს, რომ აუცილებლად უნდა გავაცოცხლოთ და ეს მოგებასაც მოიტანს — სასტუმროების და საბაგირო გზების მშენებლობაზე ხომ მართლაც სერიოზული თანხები იხარჯება.

**— სამთო-სათხილამურო სპორტი ერთია, მაგრამ ფეხბურთი სპორტის კი არა, ქვეყნის პრიორიტეტული დარგიც უნდა იყოს. ამავე დროს ფეხბურთი სულ სხვა მასშტაბის, გაცილებით დიდი ბიზნესია. რატომ არ გინდათ, რომ ფეხბურთშიც აქტიურად ჩაერთოთ, იქაც დააბანდოთ ფული?**

— ფეხბურთისგან შორს არასდროს ვყოფილვარ. ნოდარ ახალკაცის ძალიან ახლო მეგობარი გახლდით. ეს უჭკვიანესი კაცი, რომელმაც მთელი საფეხბურთო ინდუსტრია შექმნა საქართველოში, ჩვენმა ხელისუფლებამ ფაქტობრივად ძალიან უსამართლოდ გაწირა, ავადმყოფ, მეტასტაზებიან კაცს ისეთი დევნა აუტეხა, რომ გული გაუსკდა. ეს ყველაფერი ძალიან განვიცადე, ალბათ, იმიტომაც, რომ ნოდარ ახალკაცის მეგობარი ვიყავი და ცოტა ხნით მართლაც ჩამოვცილდი ფეხბურთს. მაგრამ საფეხბურთო ცხოვრება ყოველთვის ჩემი ყურადღების ცენტრში იყო და არის. დავაარსეთ ჭაბუკთა საფეხბურთო გუნდი „ყაზბეგი", მისი რამდენიმე ფეხბურთელი საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების წევრია, ზოგიერთის გადაყვანა სხვა კლუბებს სურთ, მაგრამ ჩვენ გვინდა, ეს გუნდი 2-3 წელი შევინარჩუნოთ და საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ვათამაშოთ ანუ შევქმნათ პროფესიული საფეხბურთო კლუბი. ასე რომ, ფეხბურთის მიმართ მთლად უყურადღებონი ნამდვილად არ ვართ — კომპანია „ყაზბეგი" უკვე ორი წელია, ამ გუნდს აფინანსებს.

**— არცთუ ისე დიდი ხნის ამბავია — საფეხბურთო თბილისის „დინამო" ყოველგვარი ტენდერის გარეშე გაიყიდა, ასე ჩათვალა საჭიროდ ქვეყნის ხელისუფლებამ. ღია ტენდერი რომ ყოფილიყო, თუ გექნებოდათ კლუბის მთლიანად ან აქციათა გარკვეული პროცენტის შეძენის სურვილი?**

— სიამოვნებით მივიღებდი ამაში სერიოზულ მონაწილეობას, მაგრამ ამ კლუბის ირგვლივ გაუმჭვირვალი ურთიერთობები ჩამოყალიბდა და არაჯანსალი აჟიოტაჟიც წარმოიშვა. ბუნებრივია, ამან თავისთავად ჩამოაცილა ძალიან ბევრი ქართველი ბიზნესმენი თბილისის „დინამოს", თორემ ყველაფერი რომ ნათელი ყოფილიყო, შესაძლოა, „დინამოს" რამდენიმე სერიოზული აქციონერიც ჰყოლოდა. თანაც, როგორც ვიცი, „დინამოსთვის" დავა კვლავ გრძელდება...

**— თქვენ, როგორც პოლიტიკოსი, რა კომენტარს გაუკეთებთ ხელისუფლების მიერ თბილისის „დინამოს" ასე ჩუმად გაყიდვის ფაქტს?**

— ამას „დინამოს" ყველა გულშემატკივარმა ძალიან ცუდი შეფასება უნდა მისცეს. ფეხბურთი და „დინამო" ჩვენი ცხოვრების დიდი ნაწილია. თუ ყველაფერი მარტივად, კანონიერად და ჩამოყალიბებულად იქნება, კომპანია „ყაზბეგიც" მიიღებს სერიოზულ მონაწილეობას ქართული ფეხბურთის და „დინამოს" აღორძინების საქმეში.

**— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნები მოახლოვდა და უკვე ყველა ლაპარაკობს იმაზე, რომ ერთ-ერთ კანდიდატ დავით პეტრიაშვილს ზურგს ბადრი პატარკაციშვილი და მთავრობის მაღალჩინოსნები უმაგრებენ...**

— ძალიან სამწუხაროა, რომ ასეთ არჩევით ორგანოში სახელმწიფო აქტიურად ერევა — ეს ჩვენი ტრაგედიაა. ცუდია ისიც, თუ ამაში რომელიმე ბიზნესმენი ფარულად მონაწილეობს. რაც შეეხება თვით დავით პეტრიაშვილს, მე ვიცნობ მას, ვიცი, რომ ის ნოდარ ახალკაცის გამოზრდილი კადრია, მაგრამ თუ პეტრიაშვილს პრეტენზია აქვს სფფ-ის პრეზიდენტობაზე, ისეთი გზით უნდა წავიდეს, რომ თვითონ საზოგადოებამ აირჩიოს პრეზიდენტად. თორემ ასეთი დაძაბულობა, აჟიოტაჟი და იატაკქვეშა ბრძოლა არაფერს სასიკეთოს არ მოუტანს ჩვენს სპორტს.

**— თქვენ არ აპირებთ რაღაც ფორმით, მაგრამ ლიად ჩაერთოთ სფფ-ის პრეზიდენტის არჩევნებში?**

— არა, ჯერ დალაგდეს ყველაფერი, ჩამოყალიბდეს ნორმალური ვითარება და მერე სიამოვნებით ჩავერთვებით ქართულ საფეხბურთო ცხოვრებაში.

**— ახლახან შეიქმნა საქართველოს ოლიმპიური ფონდი და თქვენ ამ საქმეში, ასე ვთქვათ, განზე დაგტოვეს...**

— მთლად ასეც არაა საქმე, მე ჩემი აზრი გამოვთქვი და ეს ძალიან აჟიტირებული იყო. რა თქმა უნდა, სპორტს ძალიან სჭირდება სპონსორი. თუ ამის სურვილი თავისი ფონდით ბადრი პატარკაციშვილს აქვს, ეს ძალიან მისასალმებელია, მაგრამ ჩემი წინადადება ასეთი იყო — მოდით, ჯერ ბატონმა ბადრიმ რეალურად დაიწყოს ოლიმპიური საქმიანობა, გამოჩნდეს, რეალურად რაღაც ჩაიდოს. ჩვენ ხომ ჯერ არ ვიცით, რამდენად ეფექტური იქნება ეს ფონდი, რა თანხები გამოიყოფა. ჩვენ ბატონი ბადრი ფაქტობრივად ავანსად ავირჩიეთ ოლიმპიური კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტად. და კიდევ, თუ ამ ფონდით ბატონი ბადრი ფეხბურთს დააფინანსებს ან, ვთქვათ, კალათბურთს, ეს უკვე ქველმოქმედება კი არა, ბიზნეს-ინტერესებია. ამიტომ ჩემი წინადადება იყო, ჯერ კაცს დავაცადოთ და გადაწყვეტილება მერე მივიღოთ-მეთქი. მე ისიც ვთქვი, რომ აგერ, ბატონი გოჩა ძასოხოვია ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი, რომელსაც უკვე საკმაოდ ბევრი ფული აქვს დახარჯული და თუ ამ პრინციპით მივდივართ, მაშინ ბატონი გოჩა აგვერჩია ვიცე-პრეზიდენტად. ერთი სიტყვით, ვნახოთ, თუ ბატონი ბადრი მართლა დაეხმარება სპორტის გაჭირვებულ სახეობებს, ამას მხოლოდ მივესალმები.

**— როგორ ფიქრობთ, ოლიმპიური კომიტეტის საქმიანობაშიც ერევა სახელმწიფო?**

— საუბედუროდ, სეხელმწიფო ძალიან ბევრ საკითხში ერევა, რაც არ უნდა ხდებოდეს. გავლენა ოლიმპიურ კომიტეტზე სახელმწიფოს, ალბათ, აქვს და ამიტომაც ვართ ცუდ დღეში.

**დავით თავართქილაძე**



კირსან ილუმჟინოვის გეგმები არაბმა შეიხებმა არიეს

# შეიხმა ტარასოვი დახია

**მსოფლიოს** ჭადრაკში რიგი ძვრებია: დუბაიში მსოფლიოს თასის პირველი ეტაპი სკანდალურ ფონზე ჩატარდა და თანამდევმა მოვლენებმაც არ დააყოვნა. კერძოდ, საუბარი იყო საპრიზო ფონდის უეცარ შემცირებაზე, რაც ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდე) კომერციულმა დირექტორმა არტიომ ტარასოვმა ზედ ეტაპის დაწყების წინ, დუბაიში ჩასულ მოჭადრაკეებთან გააცხადა. გაგინაწილებთ არა 480 ათას, არამედ 4-ჯერ ნაკლები ოდენობის დოლარებსო, ამცნო ტარასოვმა 32 მოჭადრაკეს, რომელთაგან პრინციპულად ოთხნი აღშფოთდნენ. ევგენი ბარეევმა, ალექსანდრ ხალიფმანმა, პეტერ ლეკომ და ალექსეი შიროვმა ტურნირში თამაშზე უარი თქვეს და მართლაც, სვლების კეთების ჟამმა რომ მოაწია, ხალიფმანმა და ლეკომ დაფისკენ არც გაიხედეს.

სახლაფორთო სიტუაციის მოგვარება ფიდე-ს პრეზიდენტმა კირსან ილუმჟინოვმა ტრადიციული მეთოდით, ანუ საკუთარი (ეხე იგი, ყალმუხეთის) სალაროს პირმოხსნით სცადა. მან დაიბარა ლეკო, ხალიფმანი, შიროვი და საპრიზო ფულების ძველ ნიშნულამდე აყვანას არა, მაგრამ გაორმაგებას დაჰპირდა. ილუმჟინოვის რისხვა დაატყდათ ტარასოვს, ვინც აღარ არის იმ თანამდებობის პირი, ზემოთ რომ ვახსენეთ და კომპანია „ოქტაგონს". ამ ფირმას საჭადრაკო ტურნირების სპონსორებით მომარაგება ევალებოდა, რაშიც, ილუმჟინოვის აზრით, საკმაო ფხა ვერ გამოიჩინა, ამიტომო, ბრძანა მისმა აღმატებულებამ (ასე მიმართავენ), „ოქტაგონთან" ურთიერთობა გავწყვიტეთ და ფიდე-ს კომერციულ სამსახურსაც დღეიდან მე ვუთავებო.

ნამდვილი დამნაშავის ვინაობა ტარასოვმა გამოაცხადა: არაბი შეიხი ზაიდ ბენ სულთან ალ ნახაიანი, რომელმაც პირობა დადო, ტურნირს აბუ დაბიში (არაბთა გაერთიანებული საემიროების დედაქალაქი) ჩავატარებ და ტურნირების სერიისთვის მილიონ დოლარს ჩამოვალო, მერე კი სიტყვას გადავიდა. ცუგცვანგში მყოფმა ტარასოვმა ტურნირი საჩქაროდ დუბაიში გადაიტანა და მხოლოდ კაპიკები შეაკოწიწა საპრიზო ფონდისთვის, რაც მოჭადრაკეებმა იუკადრისეს.

„ფიდეს გრან პრის" მეორე ეტაპი მოსკოვშია დანიშნული და რახან შეიხის იმედი აღარ არის, საპრიზო თანხების მოძიება იქნებ კვლავ ყალმუხეთის ბიუჯეტში გახდეს საჭირო. ამ თავსატეხიარით მიემართება კირსან ილუმჟინოვი პრაღას, სადაც 28 აპრილს „ევროტელ ტროფი" იწყება პლანეტის 32 უძლიერესი მოჭადრაკის მონაწილეობით (ეს ამბავი რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ). არ იქნება მხოლოდ ფიდე-ს მსოფლიოს ჩემპიონი რუსლან პონომარიოვი.

ფიდე-ს ვებგვერდზე გამოქვეყნებული ოფიციალური განცხადების თანახმად, ილუმჟინოვი 5 მაისს დახურვის ცერემონიალს დაესწრება, მერე კი მეცენატ ბესელ კოკთან და სხვებთან ერთად ჭადრაკის მომავალზე ითათბირებს. პრაღაში ითამაშებენ კასპაროვი, კრამნიკი, ანანდი, კარპოვი — თუ მთელი ეს ხალხი და ილუმჟინოვი მრგვალი მაგიდის ირგვლივ მოგროვდნენ, იქნებ დიდი ცვლილებებიც მოხდეს.

ნახსენები გენიალური მოჭადრაკეები (კარპოვის გარდა), აგრეთვე ვესელინ ტოპალოვი, მაიკლ ადამსი და ყაზახი ონსტატი კოსტენკო მაისის ბოლოს ასტანაში უნდა შეყრილიყვნენ, სადაც შარშან პირველად გათამაშდა ნურსულთან ნაზარბაევის თასი მეტად ელიტარული შემადგენლობით. მაშინ კასპაროვმა გადამწყვეტი პარტია მოუგო კრამნიკს და თასი ჩაბღუჯა, წლეულს კი საქმე დაფებამდე ვერ მივა. ტურნირი ჩაიშალა და ორგანიზატორები ირწმუნებიან, გაის ამ დროს უსიკვდილოდ შედგებაო.

**დავით გულუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

2002 NBA PLAYOFFS პლეი ოფი პირველი წრე, სამ მოგებამდე

# დიაცი უნდა დაადუმო, დივაცი უნდა ააყუდო

23 აპრილი

## აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| შარლოტი | 1 |
| ორლანდო | 1 |

**შარლოტი 103:111 ორლანდო**

ძირითადი დრო 99:99

**შარლოტი: კემბელი (27 ქულა, 13 მოხსნა), ვესლი (24), დევისი (11 ქულა, 10 პასი)**
**ორლანდო: მაკგრეიდი (31 ქულა, 11 მოხსნა, 7 პასი), ჰადსონი (26), გარიტი (18)**

ძალიან კი სურდათ შარლოტელ „კრაზანებს" ამ ქალაქში თავიანთი ბოლო სეზონი რიხით ჩაემთავრებინათ, მაგრამ მათი ომახი ბზუილად ისმის. აგერ, ორი შინაური შეხვედრიდან ერთი წააგეს, ახლა მომდევნო ორს ორლანდოში გამართავენ და წყვილი წაგების შემთხვევაში პლეი ოფს და დედა შარლოტს ამაყად ვეღარ დაუქნევენ ხელს.

შარლოტიდან ახალ ორლეანში გადაბარგების ცნობამ „ჰორნეთსს" გვარიანად შეუთხელა უწინ სამაგალითო ქომაგობა. ხოლო მათ, რომელთაც ამ გუნდისთვის კვლავ ძალუმად უცემთ გული, კრაზანათა იქნებ ბოლო შარლოტულ შეხვედრაში მარცხის მიზეზებს დაუწყებ ძიება. შორს არ წასულან, საერთო შეთანხმებით, მთავარ და თითქმის ერთადერთ მიზეზად ლიდერთა ტრავმა-ავადმყოფობები გამოცხადდა. 23 აპრილს წუთითაც არ უთამაშია მასპინძელთა პირველმექულე ჯამალ მაშბურნს. ჯამალს მძლავრი ძვალკუნთოვანი სისტემა მწყობრში კი აქვს, მაგრამ მუხთალი და ძნელად დიაგნოზირებადი ვირუსი შეპყრია და რა თამაში, საავადმყოფოში საწოლის წინ ჩამოდგმულ ტელევიზორში უცქერა თავისიანთა ჯახირს. გარდა ამისა, უმაშბურნო „შარლოტში" ავტომატურად გალიდერებული ბაირონ დევისიც ვერაა ჯანზე, ტერფი სტკივა და ასე ნახევრად ტრავმიანმა მაინც შეძლებისდაგვარად აწვალა ორლანდოელები. ვგაა, წინა მატჩში ჩადენილი გმირობები ვეღარ გაიმეორა და გამარჯვება ამ ჯერზე „ორლანდოს" შეხვდა.

„მთავარია, რომ მეტოქეს მოედნის უპირატესობა ავართვით და ახლა შინ ორჯერ დავუხვდებით. ვფიქრობ, საბოლოო გამარჯვება ჩვენ დაგვრჩება" — ერთი თამაშის მომგებ სტუმართლიდერ ტრეისი მაკგრეიდის საქმე მოგვარებულად მიაჩნია. 22 წლისაა, გამოუცდელია და წინდახედულობა ძნელად მოეთხოვება. ურიგოდ კი არ უბურთავია. განსაკუთრებით პირველ ტაიმში, როცა ჭრა და ჭრა მასპინძელთა დაცვა და ერთხანს 17 ქულით წინ გაჭრა „ორლანდო". სამედიცინო პრობლემათა მიუხედავად, „შარლოტმა" შემდეგ ბრძოლაში შემობრუნებაც და მეოთხე მეოთხედის მიწურულს გათანაბრებაც. მაკგრეიდის შეძლო, მეტოქენი ოვერტაიმში წვალებას აერიდებინა, როცა 99:99 ანგარიშზე ბოლო წამებზე „შარლოტის" ნახევარზე ბურთი სასროლ პოზიციაში მყოფს მიუვიდა, მაგრამ ააცილა და მატჩიც დამატებით ხუთწუთეულში გაგრძელდა. აქ უფრო ივარგეს მეორეხარისხოვანმა ორლანდოელებმა — პეტ გარიტიმ სამქულიანით გახსნა ოვერტაიმი, ხოლო ტროი ჰადსონმა ერთი ორიანი და ხუთი ერთიანი გაილო „ორლანდოს" საკეთილდღეოდ.

## დასავლეთი

| | |
|---|---|
| საკრამენტო | 1 |
| იუტა | 1 |

**საკრამენტო 86:93 იუტა**

**საკრამენტო: დივაცი (21), ვებერი (18), სტოიაკოვიჩი (16)**
**იუტა: მარშალი (19), მელოუნი (18 ქულა, 12 მოხსნა), კირილენკო (16), სტოქტონი (13 ქულა, 12 პასი)**

საკრამენტოელი „მეფეების" იუგოსლაველი ცენტრი ვლადე დივაცი ბევრისმნახველი ვეტერანია და ისე ვიცოდით, სიტყვა-პასუხი არ ეშლებოდა, მაგრამ „იუტასთან" პირველი და ძლივსმოგებული მატჩის შემდეგ ეს ბრძენკაცი ბავშვივით აცუნდრუკდა, მისმა ენამ და სურვილმა მოვლენებს გაუსწრო და ვლადემ მეტოქის ბოსტანში დიდრონი ქვებივით ისროლა მწარე სიტყვები. აქაოდა, ცოტა გაგვიჭირდა, მაგრამ ეგ არაფერი, ყველა შემდეგ თამაშს რიხინით მოვუგებთ მაგ ბებრებს, რომელთაც პენსიაზე გასვლა დავიწყებიათ და მოედანზე ჭკუა და ღონეწართმეული ბერიკაცებივით დაბოდიალობენო. ამას რომ ამბობდა და მეტოქის ვინაობას ასახელებდა, იქნებ თავად ვერ იყო გონზე, ყოველ შემთხვევაში, სალი აზროვნების უნარი წართმეოდა, დავიწყებოდა, რომ იუტელი ჯონ სტოქტონი ზედიზედ 18, ხოლო კარლ მელოუნი 17 წელია თამაშობენ პლეი ოფში, ბევრი წაუგიათ, მაგრამ ბევრიც მოუგიათ და ისეთ ქარცეცხლში გამოუვლიათ, მეტოქის მოედანზე სამქულიანი მარცხი ვერც წელში გატეხს და ვერც ბურთის კალათში ჩაგდების სურვილს დაუკარგავს. დღეს დივაცი უცილობლად ნანობს, მაგრამ რაღა დროსია, მისი „საკრამენტო", სწორედ რომ „იუტას" ზედიზედ ხუთჯერ მძლეველი და მხოლოდ ჩემპიონობის მსურველი „საკრამენტო" მისგან დამცირებულთან შინ, მოგუგუნე ტრიბუნების თვალწინ შერცხვა.

თავისი ენის გადამკიდეს, ყველაზე დიდი ულუფა სირცხვილი ვეება იუგოსლაველს ერგო. ერთი კი უნდა ითქვას, დივაცმა ბევრი დაუფიქრებლად კი იყბედა, მაგრამ რიგიანად ითამაშა და მატჩში უმეტესი ოდენობით მოიხვეჭა ქულები. „იუტასთან" ფეხი უფრო მის თანამემამულე პრედრაგ სტოიაკოვიჩს გადაუბრუნდა. მასზე უდიდესი იმედების დამმყარებელმა და საერთოდ თამაშის ამწყობმა „საკრამენტომ" პეჯასგან ოდენ 16 ქულა მიიღო, აქედან უმეტესი მაშინ, როცა საქმე უკვე წახდენილი იყო.




ვლადე დივაცს გამოსაჩენი პირი აღარ აქვს

REUTERS საქართველო

**ირაკლი ფირჰშილი**

# ოლიმპიამ კრკა მოტეხა

## ბოისამ და მისმა გუნდმა პროვინციელები გადაახურდავეს

*ლიუბლიანის „ოლიმპია" იყო, არის და, ალბათ, კიდევ კარგა ხანს იქნება სლოვენიის უძლიერესი გუნდი. მას ავად თუ კარგად ყოველთვის უწევდნენ კონკურენციას, ორი წლის წინ თითქმის პრივატიზებული ჩემპიონის ტახტიდანაც ჩამოაბრძანეს. ამის მქნელი პროვინციული, თუმც ფარმამგნატ „კრკას" ნოვომესტოური გუნდია. მაგრამ ეს რომ შემთხვევითობა იყო, მალევე გამოჩნდა, „ოლიმპიამ" მომდევნო სეზონში „მისთვის შექმნილი" ტიტული უპრობლემოდ დაიბრუნა*



ვლადიმერ ბოისა

მიშა ახალკაციძის ფოტო

წლეულს სულ სხვა ვითარებაა: „ოლიმიას", როგორც კლუბში ირწმუნებიან, დროებითი ფინანსური, პრობლემები შექმნია, ჩემპიონობადაგემოვნებულ პროვინციელებს კი ბობოლებთან ჭიდილის სკოლა ევროლიგაშიც გაუვლიათ და გაორმაგებული ძალებით უტევენ ყოჩს. „კრკა" წლეულს ისეთი ძლიერია, როგორც არასდროს და, სლოვენიელებისვე თქმით, ამ ორი გუნდის პირველობისთვის ჯახაჯუხი საინტერესო სანახავი იქნება...

...ისინი სლოვენიის ჩემპიონატის ბოლო, მე-5 ტურში კვირას ნოვო მესტოში გადაეყარნენ ერთურთს და დიდი ბრძოლა გადაიტანეს. მატჩი სრულიად სლოვენიის ყურადღებას იპყრობდა, მაგრამ თამაშზე მისვლას ნოვომესტოელთ აბა, ვინ დაასწრებდა. ვინც სკამზე ვერ დაეტია, ფეხზე იდგა და ისე ცდილობდა მეტოქეთა დატერორებას, რომელთაგან ერთ-ერთი საქართველოს ნაკრების წევრი ვლადიმერ ბოისა იყო.

მატჩის მეორე დღესვე ვეცადეთ, ჩვენებურს შევხმიანებოდით, მაგრამ ვერ მოვახერხეთ. სამშაბათს კი მაშინ მოვიხელთეთ, ვარჯიშიდან რომ ბრუნდებოდა და წინა დღის ამბებიც შევიტყვეთ.

— ტრევიზოში ვიყავი ნიკა ცქიტიშვილის მოსანახულებლად და წუხელ გვიან დავბრუნდი. პრინციპული მატჩის შემდეგ ერთი დღით დაგვასვენეს და მეც გადავწყვიტე ნიკას ვწვეოდი. ჩინებულად მოწყობილა და საქმეებიც კარგად აუწყვია.

**— ისეთი ბრძოლა გადაიტანეთ, დასვენებას უთუოდ იმსახურებდით...**

—ბრძოლა და დაძაბულობა თამაშს არ აკლდა, თუმც უშნოვსობა სჭარბობდა.

**— კერძოდ?**

— მსაჯობით დავიწყებ: ყოვლად უხამსოდ იქცეოდნენ, აშკარად „კრკას" ემხრობოდნენ და ყველაფერს აკეთებდნენ, რომ წაგვეგო, მაგრამ ბოლოს ისეთი რამ მოხდა, არათუ მეტოქე ჩვენც ძნელად თუ წარმოვიდგენდით. 2 ქულას ვაგებდით და შეტევისთვის ათიოდ წამი გვქონდა. ჩვენმა გამთამაშებელმა ირეი ველშმა ბურთი ათრია, მაგრამ ნოვომესტოელებმა სროლა არ დაანებეს. მან ბურთი საჯარიმოს ხაზთან მდგარ ჩვენს ცენტრ პარის მუეძინოვიჩს გადააწოდა. ყველას ეგონა, ფარისკენ გაიწევსო. მან კი ორი ნაბიჯით უკან დაიხია და გამარჯვების სამქულიანი ჩააგდო. საქმე ისაა, რომ მუეძინოვიჩი კლასიკური ცენტრია და სამქულიანს კი არა, ფარს საშუალო მანძილიდანაც იშვიათად უტევს. არ მახსოვს, შორიდან ესროლოს, უბრალოდ, ეს არ ეხერხება და ხედავთ, რა მოიმოქმედა?! გადარეულ ნოვომესტოელთ, რომლებიც სოფლელებივით იქცეოდნენ, ხან ხურდებს, ხანაც სანთებელებს ისროდნენ მოედანზე, ენა მუცელში ჩაუვარდათ.

**— მანამდე რა ხდებოდა, სულ ასეთი დაძაბულობა იყო?**

—არა, თამაში ბოლო მეოთხედში გამძაფრდა, როცა გნიდიჩმა, ლაკოვიჩმა და დრობნიაკმა მიყოლებით სამქულიანები ჩაგვიგდეს. მანამდე კი სულ ჩვენ ვლიდერობდით. დებიუტშივე 15:4 დავწინაურდით და ამ სხვაობას კარგა ხანს ვინარჩუნებდით. მერე კი მსაჯებმა გააფრინეს, ერთი ორჯერ მასპინძლებმაც იყოჩაღეს და ასეთი დრამატული ფინალი გამოვიდა.

**— მსაჯების მიკერძოება რისი ბრალია?**

— კალათბურთის, უფრო ევროპულის, დაუწერელი კანონია მასპინძლებისადმი მიმხრობა. ეს ყოველთვის ხდება, ზოგჯერ შეუმჩნევლად, ზოგჯერ კი თვალში საცემად. ვერ ვიტყვი, გარიგებულნი იყვნენ-მეთქი, თუმც ამას აბა, რა ვუწოდო: „კრკას" იმედი იაკა ლაკოვიჩი ბოლო შეტევისას ცენტრის კიდესთან წაიქცა, ისე, რომ არავინ შეხებია. ბურთი აუტში გადავიდა. მსაჯმა არც აუტი ჩათვალა, არც გარბენი, ჩვენთვის სასარგებლო გადაწყვეტილება არ მიიღო. მან ლაკოვიჩის შორიახლოს მდგარი ირეი ველში დააჯარიმა და მეტოქემ ერთი ქულაც შეიმატა. სამაგიეროდ ყველას კარგად გადავუხადეთ, ამ ეპიზოდს მუეძინოვიჩის საშური სროლა მოჰყვა და საბოლოოდ 83:82 გავიმარჯვეთ.

**— შენც მოგიწია თამაში...**

— დაახლოებით 12 წუთი. ძალიან გამიხარდა, ზმაგო საგადინმა ამჯერადაც სასტარტოში რომ მათამაშა. პირველ მეოთხედში რვა წუთი ვითამაშე და ჩემს მოწინააღმდეგე ბენეტ დევისონს კარგად ვდიე. შემდეგ მცირე ხნით მესამე და მეოთხე ათწუთეულებშიც მომიწია მოედანზე შესვლამ და ჯამში 6 ქულა დავაგროვე. ეს გამარჯვება დიდად დაგვეხმარება მომდევნო მატჩებისთვის კარგი ფსიქოლოგიური განწყობის შესაქმნელად, „კრკასთან" საჩემპიონო ბრძოლაში რომ გველის.

**— ალბათ, ფინანსურ პრობლემების მოგვარებაშიც სპონსორები ხომ შეძლებს ითხოვენ...**

— რა თქმა უნდა, ყველაფერი უნდა მოვიგოთ, რისი მოგებაც შეგვიძლია. ეს ჩვენი სპონსორების უპირველესი მოთხოვნაა. ისინი ამისთვის ყველანაირად გვიწყობენ ხელს. აი, ახლაც, რომ გელაპარაკებით, ჩვენი ერთ-ერთი პარტნიორის, „მერსედესის" მანქანაში ვზივარ, რომელიც ვარჯიშზე სასიარულოდ გამოგვიყო. ეს ნაწილია იმ საქმეებისა, რასაც ჩვენთვის აკეთებენ, სანაცვლოდ კი შედეგს ითხოვენ, ჩვენც რა უფლება გვაქვს, მაქსიმუმი არ გავაკეთოთ?!

**ირაკლი ბერტაია**

სლოვენია

# სლოვანი ლუდში ჩაიხრჩო

**სლოვენიის** „ქართული" თემა უგრეხელიძე-ტულუშის „სლოვანით" ამოვწურეთ, ოღონდ მათი ამბავი ბოისასავით სასიხარულო როდია. დავიწყოთ იმით, რომ კვლავ სკამზე გაატარა მატჩი კოტე ტულუშმა, „სლოვანმა" კი „პივოვარნასთან" შინ წააგო.

ალალად ვიტყვით, ალილოვიჩის გუნდს ამ თამაშის მოგების არანაირი შანსი არ ჰქონია და როგორც ტულუშმა გუშინ სლოვენიიდან გვამცნო, მის გუნდს წლევანდელ ჩემპიონატში ასე ცუდად არ უთამაშია.

დაწყებიდან ორ წუთში ლიუბლიანელები უკვე 11:0 აგებდნენ და ამაზე მცირე სხვაობა მხოლოდ მესამე მეოთხედში დაფიქსირდა, როცა რის ვაინაჩრობით მასპინძლები „მელუდეებს" 7 ქულით მიუახლოვდნენ.

მატჩი ისე დასრულდა, „სლოვანს" მისი გადარჩენის შანსი არც მისცემია და საბოლოოდ 63:75 დამარცხდა. ჩვენ კი თავი იმით ვინუგეშოთ, დავით უგრეხელიძე მასპინძელთაგან საუკეთესო რომ იყო. მისი ბადალი კალათსაცილებულ ბურთთა მოხსნაში არავინ იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმეს მარტო ამან ვერ უშველა.

**V ტური**

**ზაგორიე 81:86 ჰელიოსი**

**კემოპლასტი 84:90 სავინსკი პოვსი**

**კრკა 82:83 ოლიმპია**

**ოლიმპია: ველში (17), გოლემაცი (6), ილიევსკი (2), ბოისა (12 წუთი, 6 ქულა, 1 მოხსნა, 1 პასი), მოდრიჩი (4), ბ. უდრიჰი (16), ზდოვცი (16), დილი (2), მუეძინოვიჩი (13), პუკიჩი (3)**

**სლოვანი 63:75 პივოვარნა**

**სლოვანი: ივეტოვიჩი (4), ოზბოლტი (11), დაკული (11), ფრიფრისონი, ს. უდრიჰი (9), კოვაჩი (2), უგრეხელიძე (19 წუთი, 7 ქულა, 8 მოხსნა), სლობარი (6), ბიკი (8), ზაგორაცი (6)**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპია | 5 | 5 | 0 | +93 | 10 |
| კრკა | 5 | 4 | 1 | +59 | 9 |
| სლოვანი | 5 | 3 | 2 | +20 | 8 |
| პივოვარნა | 5 | 3 | 2 | +17 | 8 |
| ჰელიოსი | 5 | 2 | 3 | -33 | 7 |
| სავინსკი | 5 | 2 | 3 | -57 | 7 |
| კემოპლასტი | 5 | 1 | 4 | -36 | 6 |
| ზაგორიე | 5 | 0 | 5 | -63 | 5 |



ენდი როდიკი

# ბებრებს არ ჩააფსონინოთ
## როდიკი კლერკობას აპირებს

**ბარსელონა. თიხნარი**
**საპრიზო 955 ათასი $**

**პირველი წრე**

**კარლოს მოია** (12, ესპანეთი) — დანიელ მელო (ბრაზილია) 6:3, 6:3; **ნიკოლას ლაპენტი** (9, ეკვადორი) — შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 6:0; **ალბერტ კოსტა** (15, ესპანეთი) — ფერნანდო ვისენტე (ესპანეთი) 6:2, 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (16, არგენტინა) — ადრიან ვოინეა (რუმინეთი) 6:1, 6:2; **არნო კლემანი** (საფრანგეთი) — პოლ-ანრი მათიო (საფრანგეთი) 7:5, 7:5; **ანდრეა გაუდენცი** (იტალია) — მიშელ ლოდრა (საფრანგეთი) 3:6, 6:3, 6:2; **სერხი ბრუგერა** (ესპანეთი) — კარლოს კადრადო (ესპანეთი) 4:6, 7:6 (7:5), 6:1; **სედრიკ პიოლინი** (საფრანგეთი) — მიხელ კრატოხვილი (შვეიცარია) 6:4, 4:6, 6:2; **დავიდ სანჩესი** (ესპანეთი) — მარიანო საბალეტა (არგენტინა) 6:4, 7:6 (12:10); **აგუსტინ კალერი** (არგენტინა) — კრისტოფ როშუ (ბელგია) 6:1, 6:2

**მეორე წრე**

**ალექს კორეხა** (7, ესპანეთი) — გალო ბლანკო (ესპანეთი) 7:6 (7:5), 7:5; **გასტონ გაუდიო** (არგენტინა) — ტომას ენკვისტი (8, შვედეთი) 6:4, 6:2

ბარსელონურ თიხნარზე ზედა რვეულის წარმომადგენლებიც გამოჩდნენ, თუმცა თავიანთი გამოჩენით ალტაცებული არავინ დაუტოვებიათ. მეშვიდედ განთესილმა ალექს კორეხამ თვისტომ გალო ბლანკოს ორ სეტში კი აჯობა, მაგრამ ეს იმდენად არადამაჯერებლად გააკეთა, რომ სამესამწრეო თამაშში მასზე ფსონის ჩასვლამდე კარგად დაფიქრებას გირჩევთ. მერვე ნომრად განთესილ შვედ ტომას ენკვისტს კი სულაც ჩოგნის დაშალითება აიძულეს. ამის გაკეთება არგენტინელმა გასტონ გაუდიომ იკისრა.

გალო ბლანკოს მეორე სეტში 5:4 მიჰყავდა და საკუთარი გეიმი რომ მოეგო, მატჩის ბედს მესამე სეტი გაარკვევდა. მაგრამ კორეხამ მისთვის ჩაწოდების გატეხვა მოახერხა, მერე თავისაშიც იმარჯვა და სულ ბოლოს ისევ მეტოქის ჩაწოდებაზე გადავებით 7:5 მიითვალა. ერთადერთი, რამაც მიშველა, კონცენტრაცია იყოო, ამბობდა ნამატჩევს, თორემ სხვაფრივ ჩემ თამაშს ჩოგბურთის მეტი ყველაფერი ეთქმოდაო. სხვათა შორის, თავისი წინა ათი ბარსელონური გაბრძოლებიდან კორეჩას ნახევარფინალის მიღმა არასოდეს გაუღწევია.

იმ დღესვე შემდგარი ხაპირველწრეო მატჩებიდან ყველაზე სასეირო 31 წლის სერხი ბრუგერასა და თინეიჯერ კარლოს კადრადოს შეხლა გამოდგა. ორგზის მეროლანგაროსე ბრუგერა უჯიგროდ წაგებული პირველი სეტის შემდეგ ნელ-ნელა გახელდა, გარდი-გარდმო ნაბურთავებ მეორე სეტში უფრო მძლავრად იჩოგნავა და ამის მერე გატეხილ მეტოქეს მესამეში უკვე ცალკორტად მოუგო.

დამაჯერებლად იმარჯვეს განთესილებმა — ნიკოლას ლაპენტიმ (9), კარლოს მოიამ (12), ალბერტ კოსტამ (15) და დავიდ ნალბანდიანმა (16).

სანაცვლოდ ტურნირს გამოაკლდნენ მეთერთმეტედ განთესილი ფრანგი ნიკოლას ესკუდე, რომელსაც მარჯვენა მხრის ტრავმა ჰქონია და გერმანელი ნიკოლა კიფერი, ვინაც ჩოგნის გაქნევა ანგინის გამო ვერ მოახერხა. პირველის შემცვლელმა პოლ-ანრი მათიომ თვისტომ არნო კლემანთან დათმო, ხოლო მეორისა შარშანდელმა ფინალისტმა და გასულ კვირას მონტე კარლოს ფინალში ძლეულმა კარლოს მოიამ შეიწირა.

**ჰიუსტონი. თიხნარი**
**საპრიზო 400 ათასი $**

**ტომი ჰაასი** (1, გერმანია) — ალექს კიმი (აშშ) 6:2, 6:4; **ანდრე აგასი** (2, აშშ) — მიხაილ იუჟნი (რუსეთი) 6:4, 3:6, 6:4; **ენდი როდიკი** (3, აშშ) — მაიკლ რასელი (აშშ) 6:1, 6:2; **პიტ სამპრასი** (4, აშშ) — იან ვაჩეკი (ჩეხეთი) 4:6, 6:1, 7:5; **ჯეიმს ბლეიკი** (5, აშშ) — რამონ დელგადო (პარაგვაი) 6:2, 6:1; **ფლავიუ სარეტა** (ბრაზილია) — უეინ ფერეირა (6, სამხრეთ აფრიკა) 6:4, 7:5; **ტოდ მარტინი** (7, აშშ) — იგნასიო ირიგოიენი (მექსიკა) 6:0, 6:4; **კრისტიან პლესი** (დანია) — ჟან-მაიკლ გემბილი (8, აშშ) 2:6, 6:2, 7:5; **მაიკლ ჩანგი** (აშშ) — იულიან ნოული (ავსტრია) 6:1, 6:2; **გილერმო კორია** (არგენტინა) — ადრიან ლუის მორეხონი (ეკვადორი) 6:0, 6:3; **ალექს კალატრავა** (ესპანეთი) — კრისტიან კაპალიკი (აშშ) 6:2, 3:6, 6:3; **უეინ ართურსი** (ავსტრალია) — ტეილორ დენტი (აშშ) 6:4, 6:2

ჰიუსტონის ტურნირი დიდი საპრიზო ფონდით არ გამოირჩევა — იქ შეკრებილ მაშრ მეჩოგნეებს მათი ლვაწლის შესაბამისად მხოლოდ 400 ათასი დოლარი უნაწილდებათ ხოლმე — მაგრამ იქაურ თიხნარზე სათამაშოდ მაინც ისეთმა სახელიანმა ხალხმა მოიყარა თავი, ნებისმიერ დიდფულა და დიდბობოლა ტურნირს რომ დაამშვენებდა.

ამათ შორის პირველ ნომრად განთესილმა ტომი ჰაასმა და შარშანდელმა ჩემპიონმა ენდი როდიკმა თავიანთი მატჩები შუშპრად და უპრობლემოდ მოამთავრეს. ჰაასმა, ვინაც წინა კვირაში მონტე კარლოს მეოთხედფინალს უწია, ამერიკელი ახალბედა ალექს კიმი დათრგუნა, როდიკმა კი ამერიკელსავე მაიკლ რასელს აჯობა.

რასელი ჩაუქ მეთიხნარედ ითვლება. დღემდე ყველას ახსოვს, თუ რა ფიცხელი 5-სეტიანი ომი გაუმართა მან შარშანდელ როლან გაროსზე გუსტავო კუერტენს. ამიტომაც იყო, როდიკთან მის შეხვედრას გამორჩეული ინტერესით რომ მოელოდნენ. მაგრამ 19 წლის ენდიმ, ვინაც სამი კვირის წინ ესპანელებთან სადევისო შეხლაში ერის გადამრჩენის მისია იტვირთა, მეტოქეს არანაირი შანსი არ დაუტოვა და 50 წუთში პირწმინდად გადაურა.

მომავალ შეხვედრას იგი ესპანელ ალექს კალატრავასთან გამართავს. საერთოდ კი — უკეთუ ტიტულის დაცვას მოახერხებს, ხოსე-ლუის კლერკის მერე პირველი მოთამაშე გახდება, ვისაც აშშ-ის თიხნარკორტის ჩემპიონობა ზედიზედ ორ სეზონში გამოსვლია. კლერკმა ეს ადრე-80-იანებში შეძლო...

სხვაფრივ — კვლავ ჩიქორთულად იბურთავა მეოთხე ნომრად განთესილმა პიტ სამპრასმა. ოლონდაც ჰიუსტონში მისი წინა ჩასვლისაგან განსხვავებით, როცა იქაურ ბალახსაფარზე მასთან სადევისოდ მორკინალ ალექს კორეჩასაგან სამარცხვინო მარცხი ჭამა, პიტმა ამჯერად გამარჯვების მოპოვება მოახერხა. თუმცა ჩეხი იან ვაჩეკის მოსარევად მას კარგა ბლომად ბლარძუნი და წაგებული სეტის მერე ორის უკუგება მოუხდა.

მეტოქეს პიტმა 8 ეისი კი ჩაუგლაჯუნა, მაგრამ 8 ორმაგი შეცდომა დაუშვა, უამრავი ხელსაყრელი მომენტი ვერ დააქულიანა და 14 ბრეიკპოინტიდან მხოლოდ 4 გამოიყენა. მოკლედ — წკიპზეა და მაგარი ბიჭების წინააღმდეგ მასზე ფულის ჩასვლას ვერიდოთ!

ისე კი, თიხაზე მას 1998 წლის ატლანტური ტურნირის შემდეგ აღარ უმარჯვია და ეგრე თუ გააგრძელა (და არავითარი ნიშანი იმისა, რომ ეგრე არ გააგრძელებს, ვაგლახ, არა ჩანს), ვინძლო აქამდე მოუგებელი როლან გაროსი ეგრეც აუხდენელ ოცნებად დაურჩეს.

მისგან განსხვავებით მაიკლ ჩანგს საფრანგეთის ღია პირველობაზეც უმარჯვია და თავის საპირველწრეო მატჩშიც შეუდარებლად იოლად მოიგო. ნამატჩევს ჩანგი სიხარულს ვერ მალავდა — ხუმრობა საქმე ხომ არაა, წლეულს ნათამაშები 7 შეხვედრიდან აკი ვერც ერთი ვერ მოეგო და ყველა ტურნირიდან, ბუნებრივია, პირველივე წრიდან გაებუნძურებინათ.

სახელოვან ჭარმაგთა ღირსება არც ანდრე აგასის შეუბლალავს — 19 წლის რუს მიხაილ იუჟნის ძლევამ მას ამ სეზონში მისი მე-16 გამარჯვება მოუტანა. თუმცა სამპრასისა არ იყოს, შთამბეჭდავი არც არმენოამერიკელის თამაშს ეთქმოდა. ჯადო-ანდრანიკმა ერთი სეტიც დათმო და 16 ბრეიკპოინტიდან მხოლოდ 4-ის გამოყენება შეძლო.

და ბოლოს — განთესილთაგან იმ დღეს ორმა, ბებერმა უეინ ფერეირამ და ამერიკელმა ჟან-მაიკლ გემბილმა ჩაიფლავეს. პირველს მისი ამერიკულ თიხნარზე დებიუტი ბრაზილიელმა ხაზიდან მეხათქუნე სარეტამ არ შეარგო, მეორეს კი, მონტე კარლოდანაც პირველივე წრიდან რომ გავარდა, მავან დანიელ კრისტიან პლესთან წააგო.

**ლევან ქელაურაძე**

# გუგამ, ვბრუნდებიო

**განთქმულმა** ბრაზილიელმა მეთიხნარემ და სამგზის მეროლანგაროსე გუსტავო კუერტენმა, ვინაც ეს-ესაა, ბარძაყზე გაკეთებული უმძიმესი ოპერაცია მოიშუშა, გუშინ საჯაროდ განაცხადა, რომ იქითა კვირიდან დიდ ჩოგბურთს უნდა დაუბრუნდეს. გუგას რედებიუტი 29 აპრილიდან მალიორკაში დასაწყებ ტურნირზე მოხდება. ფოტოზე თქვენ სწორედ იმ მომენტს ხედავთ, როცა მომღიმარი ჯადო-მეთიხნარე გარსმოჯარულ მასმედიასა და ქომაგებს ებაასება.





**მსოფლიოს ჩემპიონატი რალიში მეხუთე ეტაპი, კვიპროსი**

# პეჟო რალის ფერარია

**კვიპროსის** რალი ჩემპიონატის ყველაზე რთული და ნელი რბოლაა. ქვაღორღიან უგზოობაში ფინიშამდე მიღწევაც დიდ ვაჟკაცობად ითვლება. სამდღიან მარათონში მიჯახ-მოჯახებას და ამოყირავებას თითქმის ვერავინ გადაურჩა. ისე, ჟილ პანიზის სამმაგი მალაყი არავის გაჰკვირვებია, რადგან ფრანგი მხოლოდ ასფალტზეა მაგარი.

პირობები თავსხმამ კიდევ უფრო დაამძიმა და რბოლის ბოლოს ნაავარიებ-დაჭეჭყილი მანქანები ძნელად საცნობი გახდა. პირველი, 11,6 კილომეტრი სიგრძის ჩასათვლელი უბანი (სულ 324 კმ იყო დასაძლევი) ყველაზე სწრაფად კვიპროსის შარშანდელმა გამარჯვებულმა კოლინ მაკრეიმ გაიქროლა. მისი „ფორდი" სხვა მონაკვეთებზეც უნაკლო იყო და პირველი დღის მერე უახლოეს მდევარ მარკუს გრონჰოლმის „პეჟო" შვიდი წამით ჩამოიტოვა. მეორე დღეს, კოკისპირულ წვიმაში, ლამის ყველა ეკიპაჟმა დაუშვა შეცდომა, მაკრეიმ კი სანიმუშოდ იმუშავა და გრონჰოლმთან სხვაობა 26 წამამდე გაზარდა, თუმცა ბოლოს შოტლანდიელსაც შეემთხვა ორჯერ ფათერაკი. ჯერ სველ გზაზე მანქანა გადაუბრუნდა და მართალია, რბოლის გაგრძელება შეძლო, მაგრამ იმდენი დრო დაკარგა, ლიდერობას ვინლა ჩივის, მალე სულაც ექვსეულის მიღმა აღმოჩნდა. და მაინც, ისე იყოჩაღა, რომ დაჩეჩქვილი „ფორდითაც" მოახერხა ერთი ქულის შოვნა.

შარშანდელმა ჩემპიონმა რიჩარდ ბარნსმა და ოთხგზის ტრიუმფატორმა ტომი მაკინენმა ასპარეზობა უხეიროდ დაიწყეს, მაგრამ თანდათან გამოასწორეს მდგომარეობა და ჯოჯოხეთური წვალება პოდიუმზე დაასრულეს.

34 წლის გრონჰოლმმა სეზონში მეორე რბოლა მოიგო და მნიშვნელოვნად დაშორდა კონკურენტებს. „პეჟომ" კი წლეულს ზედიზედ მეოთხე დუბლით გაიმარჯვა და გუნდურ ჩათვლაში უზარმაზარი სხვაობით დაწინაურდა — ფრანგულ კონცერნს 68 ქულა დაუგროვდა, „ფორდს" და „სუბარუს" მხოლოდ 27-27.

**გია ახალაძე**




REUTERS ლომბარდია

კვიპროსულ ჯოჯოხეთში ყველას მარკუს გრონჰოლმის „პეჟომ" აჯობა

**რბოლის შედეგები**

| | |
|---|---|
| 1 მარკუს გრონჰოლმი (ფინეთი, პეჟო) | 4სთ; 21.25,7 |
| 2 რიჩარდ ბარნსი (დიდი ბრიტანეთი, პეჟო) | ჩამორჩა 56,8 |
| 3 ტომი მაკინენი (ფინეთი, სუბარუ) | 59,0 |
| 4 ჰარი როვანპერა (ფინეთი, პეჟო) | 1.18,7 |
| 5 პეტერ სოლბერგი (ნორვეგია, სუბარუ) | 2.17,9 |
| 6 კოლინ მაკრეი (დიდი ბრიტანეთი, ფორდი) | 2.45,5 |

**საერთო ჩათვლა**

1. მარკუს გრონჰოლმი 31 ქულა; 2. ჟილ პანიზი (საფრანგეთი, პეჟო) 20; 3. რიჩარდ ბარნსი 19; 4. ტომი მაკინენი 14; 5. ჰარი როვანპერა 9; 6. კარლოს საინსი (ესპანეთი, ფორდი) 9; 7. ფილიპ ბუგალსკი (საფრანგეთი, სიტროენი) 7; 8. პეტერ სოლბერგი 7; 9. სებასტიენ ლოები (საფრანგეთი, სიტროენი) 6; 10. კოლინ მაკრეი 6

# აეროდინამიკური სპარსი გაუშვეს
## ჯორდანი კრიზისს დათხოვნებით ებრძვის

„ჯორდანმა" ტექნიკური დირექტორი ეგბალ ჰამიდი გაანთავისუფლა და არამარტო იგი. გუნდი „ფორმულა 1"-ზე გამოკვეთილად არასდროს ბრწყინავდა, მაგრამ წელს 4 ეტაპი უკვე გავიდა და პირველი ქულა ჯერაც ვერ აიღო. ბრიტანულ „ჯორდანს" ეკონომიკური სიძნელეები აქვს, რასაც ბუნებრივად მოჰყვება-ხოლმე შტატების შეკვეცა და მისთანა ნეგატიური მოვლენები. სამუშაო ძალის 15 პროცენტს დაითხოვენ და წმენდაში მოჰყვა ნახსენები ჰამიდიც — ძირით ირანელი და ტექნიკოსის იმიჯით განთქმული პიროვნება.

41 წლის ჰამიდი ნამუშევარია „ეროუსის" მთავარ კონსტრუქტორად, საიდანაც მიაშურა სწორედ „ჯორდანის" ფარეხს (2000 წლის მიწურულს იყო ეს ამბავი) და როგორც აეროდინამიკის ექსპერტი, „უილიამსისა" და „სტიუარტის" სასარგებლოდაც ირჯებოდა. უნდა ითქვას, რომ ჰამიდისნაირი სპეციალისტები ქუჩაში არ ყრია და იგი „იაგუარში" უკვე მიიწვიეს.

სპარსის განთავისუფლება „ჯორდანიდან" სენსაცია არ ყოფილა. სეზონის დაწყებიდანვე ჰამიდი არ ჩანდა არცერთ რბოლაზე, რასაც „არდადეგებზე ყოფნით" ხსნიდნენ, ხოლო უვადო არდადეგებს, მოგეხსენებათ, უმუშევრობა ესინონიმება.

„გადაწყვეტილება მიღებულია მეგობრულ ატმოსფეროში და მხარეებს ამ თემაზე შემდგომი კომენტარების კეთება აღარ უნდათ" — ნათქვამია „ჯორდანის" ოფიციალურ განცხადებაში. გუნდი აგრძელებს დანახარჯების შეკვეცის პოლიტიკას.

**დავით გულუა**



ერიკ ზაბელი

# სახელგამთქმელებულნი შვიდი კიდევ რიგშია

11 მაისს „ჯირო დ იტალია" იწყება და იტალიის ველოსპორტის ფედერაციამ პრესტიჟით მეორე ველორბოლის დაწყებამდე მნიშვნელოვანი რამ გადაწყვიტა. კერძოდ, იტალიის ოლიმპიური კომიტეტის აზრით შარშანდელ „ჯიროში" დოპინგით ნარბოლი სპორტსმენები, მარიანო პიკოლი, დომენიკო რომანო, ანტონიო ვარიალე, დარიო ანდრიოტო და რონალდო ნოჩენტინი ველოსპორტის მამებმა უდანაშაულოდ მიიჩნიეს და წლეულს რბოლის ნება დართეს. ყოველგვარი ბრალდება მოეხსნათ „ტაკონი სპორტის" და „მაპეის" გუნდებსაც, ხოლო დარჩენილი 7 მრბოლის შესახებ გადაწყვეტილება ჯერ კიდევ მისაღებია. ყველა ესენი პოლიციის რეიდმა აიყვანა ბრალდებით, კოფეინის ტაბლეტებს, ინსულინს და ზრდის ჰორმონებს ხმარობდნენო.

„დიახაც, ხმარობდნენ — განაცხადა იტალიის ველოსპორტის ფედერაციის წარმომადგენელმა, მაგრამ საერთაშორისო ველოსპორტის ანტისადოპინგო რეგლამენტი არ დაურღვევიათ".

ამათი ამბავი ამბად და „ჯიროს" წინ ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ მორიგი რეიტინგ-ლისტი გამოსცა, რომლის თავში კვლავ ერიკ ზაბელს ვხედავთ.

**დავით გულუა**

| რეიტინგ-ლისტის პირველი ათეული |
|---|
| 1. ერიკ ზაბელი (გერმანია) 2345 ქულა |
| 2. პაოლო ბეტინი (იტალია) 2017 |
| 3. ერიკ დეკერი (ჰოლანდია) 2010,20 |
| 4. ლენს არმსტრონგი (აშშ) 1773 |
| 5. ჯილბერტო სიმონი (იტალია) 1759 |
| 6. იან ულრიხი (გერმანია) 1705 |
| 7. ოსკარ სევილია რიბერა (ესპანეთი) 1520 |
| 8. დავიდე რებელინი (იტალია) 1318 |
| 9. ლორან ჟალაბერი (საფრანგეთი) 1314 |
| 10. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია) 1264 |

ძალოსნობა

# ციცქნა ჰერკულესს მხარი მორყევია

ანთალიაში ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატი დაიწყო. გიორგი ასანიძის ჯერი არ დამდგარა, ის ხვალ შეერკინება შტანგას და მანამდე კი მცირეწონიანი ათლეტები ცდიან ძალებს. გათამაშდა ქალთა 2 და ვაჟთა 1 მედლების ნაკრები. თუ რიგ სახეობებში მშვენიერი სქესის შედეგებს ხსენების ღირსად არ მიიჩნევენ, ძალოსნობაში ცოტა სხვა სიტუაციაა, აქ ქალებმა მზის ქვეშ ადგილი იპოვეს და დაიმკვიდრეს კიდეც.

ჩვენც ჯერ მათზე მოვყვეთ: 53 კილოგრამამდე წონაში ანთალიის ხმაურიანი საზოგადოება გაახარა 20 წლის აილინ დასდელენმა. პაწია თურქის გოგომ ევროპის რეკორდი დაამხო. იგულისხმება ორჭიდი, სადაც თურქის შედეგი 205 კილოგრამი იყო და ეს ადრეულ შედეგზე 7,5 კილოთი მეტია. ცალკე რეკორდებად გაფორმდა აკვრის 112,5 და ატაცის 92,5 კილოგრამი. მთლად ბავშვი, 17 წლის ემინე ბილმინი მეორე იყო და ესეც თურქია, შარშან სლოვაკურ ტრენჩინში ევროპის ჩემპიონატის მომგები. რეზიუმე: თურქეთში ქალთა ძალოსნობა ჰყავის.

ვაჟთა კი მუდამ ჰყვაოდა. სამაგალითოდ დავასახელოთ ჰალილ მუთლუ (იგივე „ჯიბის ჰერკულესი"), ვინც ატლანტის და სიდნეის ოლიმპიადებზე ჩემპიონი გახდა, შარშან კი ევროპირველობაც მოიგო. ანთალიაში მუთლუ ფიცარნაგზე არ არის და არც იქნება, მხარზე ოპერაცია გაუკეთეს და რეაბილიტაციას მიჰყო ხელი. მის არყოფნაში ბელარუსმა ვიტალი დერბენევმა აჯობა მასპინძელ სედათ ართუკს და 277,5 კილოგრამით ევროპის ჩემპიონი გახდა.

**დავით გულუა**



აილინ დასდელენი

**ვაჟები**

**56 კგ**

1. ვიტალი დერბენიოვი (ბელარუსი) 277,5კგ (ატაცი 125,0+ აკვრა 152,5)
2. სედათ ართუკი (თურქეთი) 267,5 (122,5+145,0)
3. იგორ გრაბუჩი (მოლდოვა) 267,5 (122,5+145,0)

**ქალები**

**48 კგ**

1. ალიონა ზინოვიევა (უკრაინა) 177,5 (80+97,5)
2. სვეტლანა ულინოვა (რუსეთი) 172,5 (77,5+95,0)
3. ნურკან თაილანი (თურქეთი) 167,5 (77,5+90,0)

**53 კგ**

1. აილინ დასდელენი (თურქეთი) 205,0 (92,112,5)
2. ემინე ბილმინი (თურქეთი) 185,0 (80,0+105,0)
3. ანიკო აიკაი (უნგრეთი) 180,0 (75,0+105,0)



**NHL. სტენლის თასი. კონფერენციების მეოთხედფინალი**

# კაცურ-ქალაქური ამბავი

## მონრეალელები არც ლაპარაკში ჩაიჭრნენ, არც საქმეში

23 აპრილი

### დასავლეთი

| | |
|---|---|
| დეტროიტი | 2 |
| ვანკუვერი | 2 |

**ვანკუვერი 2:4 დეტროიტი 0:2 2:0 0:2**

0:1 ფიშერი (4), 0:2 ჩელიოსი (11), 1:2 ოლუნდი (30), 2:2 კუკი (40), 2:3 აიზერმანი (41), 2:4 დრეიპერი (60)

როცა გუნდში ისეთი მოთამაშე გყავს, როგორიც სტივ აიზერმანია, ვანკუვერთან სერია არ უნდა ჩააფლავო. არა, კანადურ გუნდს არაფერს ვერჩით. უბრალოდ, დეტროიტის კაპიტნის თამაში იმის საწინდარი იყო, რომ ფავორიტს გამოესწორებინა მდგომარეობა. მოგეხსენებათ, აიზერმანმა ოლიმპიადის შემდეგ ორი თვე გამოტოვა და ჩემპიონატის ბოლო ორ მატჩში რომ ითამაშა, მუხლი საბოლოოდ მორჩენილი არც ჰქონდა. მას ტრავმა ახლაც აწუხებს, მაგრამ როცა გუნდს უჭირს... და აი, გუშინ სწორედ სტივ აიზერმანის დიდოსტატურად გატანილმა გოლმა გატეხა მასპინძლები. სერგეი ფიოდოროვის პასის შემდეგ მეკარესთან დაპირისპირებულმა აიზერმანმა იოლად გაიტანა. ეს მესამე პერიოდის პირველივე წუთზე მოხდა, მას შემდეგ, რაც მეორე მესამედში ვანკუვერმა გაათანაბრა ანგარიში და თითქოს ინიციატივაც იგდო ხელთ. მასპინძლები ძალლონეს არ იშურებდნენ, რათა დომინიკ ჰაშეკი უმნიშვნელო ჯარიმებით გამოეყვანათ მწყობრიდან. მაგალითად, ვითომ უნებლიე დაჯახებით და ასე შემდეგ. მეორე გოლიც ხომ სწორედ ამნაირად გაიტანეს. „ეს ძველი ტაქტიკაა და მას ვერაფრით უმკლავდება მსაჯობა. ორი მთავარი არბიტრის სისტემამაც ვერ უშველა საქმეს" — ჩიოდა მატჩის შემდეგ დეტროიტის თავკაცი სკოტი ბოუმენი.

| | |
|---|---|
| კოლორადო | 3 |
| ლოს ანჯელესი | 1 |

**ლოს ანჯელესი 0:1 კოლორადო 0:0 0:1 0:0**

0:1 რაინპრეხტი (26)

როგორც იქნა, შეძლო კოლორადომ, გააუვნებლა ჯეისონ ელისონის პირველი სამეული და სასურველ შედეგსაც მიაღწია. ამ სერიაში დენვერელებმა პირველად ითამაშეს დაცვაში უშეცდომოდ. პატრიკ რუამაც იყოჩაღა, 32 დარტყმა მოიგერია და მე-20 საპლეიოფო შათაუტს უწია. ყველაზე მეტად კი ბოლო წამებზე ივაჟკაცა, როცა სტივ ჰაინცს არ გაატანინა ახლო მანძილიდან. მთლიანობაში კი თამაში ზუსტად ისეთი გამოვიდა, როგორიც კოლორადოს რეგულარულ ჩემპიონატში სჩვევია. ფავორიტმა შეიგნო, რომ ლოს ანჯელესთან გახსნილი თამაში საშიშია და ერთობ ფრთხილობდა. თან როცა გუნდს პეტერ ფორსბერგი ჰყავს, წარმოუდგენელია, ერთიც ვერ გაიტანოს. შვედის წამოწყებული კომბინაცია სტივ რაინპრეხტმა დაასრულა. „მეფეებს" კი პირველივე პერიოდში ადამ დედმარში გამოაკლდათ, რომელმაც ძალისმიერი ილეთის შემდეგ ბორტს თავი მიარტყა. მისი არყოფნა ნამდვილად დაეტყო მასპინძელთა პირველი ტრიოს თამაშს.

| | |
|---|---|
| სენტ ლუისი | 3 |
| ჩიკაგო | 1 |

**ჩიკაგო 0:1 სენტ ლუისი 0:0 0:1 0:0**

0:1 დემიტრა (39)

ვინ იფიქრებდა, რომ სენტ ლუისის წარმატებას სწორედ ის რგოლი განაპირობებდა, რომელსაც ყველაზე სუსტად მიიჩნევდნენ. „ბლუზმენებმა" რომ დედლაინზე ექსტრაკლასის მეკარე არ შეიძინეს, ამას მათ ყველა საყვედურობდა, მაგრამ... გავიდა დრო და აღმოჩნდა, რომ ისეთი მეკარე წამოეზარდათ, საცაა უძველეს ნჰლ-ურ რეკორდსაც კი მოხსნის. ზედიზედ სამი (!) შათაუტის შემდეგ ბრენტ ჯონსონი სამ რჩეულ გოლკიპერს შეუერთდა, რომელთაც ეს პლეი ოფში მოუხერხებიათ. არადა, ჩიკაგომ თითქოს სწორი დასკვნები გააკეთა წინა ორი მარცხის შემდეგ. მასპინძლები გაცილებით მეტს უტევდნენ (პირველ პერიოდში 10:1 აჯობეს მეტოქეს დარტყმებში), უფრო აგრესიულებიც იყვნენ და კარში ახალი მეკარეც კი დააყენეს. ჟოსლენ ტიბო სტივ პასმორმა შეცვალა, მაგრამ პავოლ დემიტრას გადამწყვეტი შაიბისგან მანაც ვერ იხსნა „ქორები".

### აღმოსავლეთი

| | |
|---|---|
| კაროლინა | 2 |
| ნიუ ჯერსი | 2 |

**ნიუ ჯერსი 3:1 კაროლინა 2:0 0:0 1:1**

1:0 ჰოლიკი (2), 2:0 ჯიონტა (18), 3:0 რაფალსკი (47), 3:1 ურდი (58)

სერიის მეოთხე თამაში ტყუპისცალივით ჰგავდა წინამორბედს, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ კაროლინამ მატჩის მიწურულსღა დაალონა ბრწყინვალედ მოთამაშე მარტინ ბროდო. მისი კაროლინელი კოლეგა არტურ ირბე კი არცთუ საიმედოდ იდგა და უკვე პირველ პერიოდში აღმოჩნდა სათადარიგოთა შორის. ნიუ ჯერსის სასტარტო შტურმი იმდენად მძლავრი გამოდგა, რომ მარტო ბობი ჰოლიკს კი არა, სხვებსაც უნდა გაეტანათ. შემდეგ „ეშმაკებმა" ოდნავ დააგდეს ტემპი, მაგრამ, სამაგიეროდ, უმცირესობაში გამოირჩნენ. ბრაიან ჯიონტამ მცველთა შეცდომით ისარგებლა და მე-18 წუთზევე გასცა პასუხი ყველა კითხვას.

| | |
|---|---|
| ტორონტო | 2 |
| აილენდერსი | 1 |

**აილენდერსი 6:1 ტორონტო 1:1 3:0 2:0**

0:1 მოგილნი (8), 1:1 პერიში (15), 2:1 ისბისტერი (27), 3:1 პეკა (34), 4:1 პერიში (40), 5:1 ბეიტსი (45), 6:1 სკაჩარდი (45)

როგორც ხედავთ, აილენდერსი სულაც არ იყო ჩამოსაწერი. ნიუიორკელებმა საგოლე მომენტების გამოყენება დაიწყეს და უცებ აღმოჩნდა, რომ ტორონტოს დაცვა და მისი განთქმული მეკარე კერტის ჯოზეფი არცთუ ისეთი გაუვალნი ყოფილან. უსაფუძვლო ჯარიმებით სტუმრებმა თავად გაუიოლეს მეტოქეს საქმე. ნიუიორკელებმა 9 რიცხვმრავლობიდან 4 გამოიყენეს და უკლებლივ ყველა ერთმანეთის მსგავსი გამოდგა. ოთხჯერვე აილენდერსელებმა დამატებაზე იმარჯვეს. მატჩის ბოლოს სტუმრებს ნერვებმა უმტყუნა — ტაი დომიმ, დარსი ტაკერმა და კომპანიამ რამდენჯერმე წამოიწყეს ჩხუბი და ჯავრი ამითღა იყარეს.

| | |
|---|---|
| ბოსტონი | 1 |
| მონრეალი | 2 |

**მონრეალი 5:3 ბოსტონი 1:1 0:2 4:0**

1:0 პერო (5), 1:1 აქსელსონი (9), 1:2 ბუერინი (28), 1:3 ბოინტონი (30), 2:3 ოდეტი (48), 3:3 გილმორი (48), 4:3 კოივუ (52), 5:3 ქიუნო (60)

მონრეალური სული კვლავაც ცოცხლობს. მართალია, გუნდი სადღეისოდ ისეთი აღარ არის, ჰოკეის მექას წლების განმავლობაში რომ სჩვეოდა, მაგრამ სულისკვეთებითა და ჯიგრიანი თამაშით არაფრით ჩამოუვარდება წინამორბედებს. ორი პერიოდის განმავლობაში უმტკიცებდა ბოსტონი მეტოქეს, რომ კლასით მასზე მაღლა დგას და გამოსდიოდა კიდეც, მაგრამ ბოლო მესამედში მონრეალმა მაინც ჩაითრა თავისთვის მოხერხებულ, ავანტიურულ ჰოკეიში და ჩვეულ სტიქიაში იხეირა კიდეც. მატჩში გარდატეხა კი სწორედ გუნდის ლიდერებმა შეიტანეს. თან საკუ კოივუმ გადამწყვეტი გოლი გაიტანა. „მეორე შესვენებაზე ბიჭებმა გულახდილად ვისაუბრეთ. მათ ვუთხარი, რომ ნაადრევია მომდევნო თამაშზე ფიქრი. ისიც შევახსენე, მთელი მონრეალი იმედის თვალით რომ შემოგვცქერის — მას ხომ ოთხი წელი პლეი ოფი არ ენახა" — უთხრა ჟურნალისტებს მონრეალის კიდევ ერთმა სახელოვანმა მოთამაშემ, ვეტერანმა დუგ გილმორმა.

**სამველ ღარიბიანი**





რა მწუხარეა დამარცხებული –
დეტროიტთან წაგებული ვანკუვერელები და ექვსი შაიბის გამშვები ტორონტოელი მეკარე კერტის ჯოზეფი



# ახლოვდება და...

ერთი თვეცა და იაპონიისა და კორეის ქალაქები ფეხბურთის გულშემატკივრებით გაივსება, იქაურ სტადიონებზე კი მსოფლიოს საუკეთესო გუნდები ითამაშებენ. იაპონიის ფოსტის სამინისტრომ უკვე გამოუშვა მსოფლიოს თასისადმი მიძღვნილი თერთმეტი სხვადასხვა იერის 97,4 მილიონი საფოსტო მარკა, რომელთა ფასიც თითოეულისა 80 იენი, ანუ 62 ცენტია. კორეელებს ჯერ მარკებისა არაფერი უცნობებიათ, მაგრამ სეულში უკვე ჩაატარეს „ბუმ ბუმ ფეხბურთის ალლუმი", რომელიც მოახლოებულ მსოფლიოს ჩემპიონატს მიეძღვნა.









# ბექჰი ქალებში

ფეხბურთელი დევიდ ბექემი დროს არ კარგავს. თუ მინდორზე არა, ყველაზე განთქმული ინგლისური მოდის ჟურნალის „მარი კლერის" ყდაზე კი გამოჩნდა. ბექემი პირველი მამაკაცია ბოლო თოთხმეტი წლის განმავლობაში ყდაზე გამოჩენა რომ ანდეს.







# ოლიმპიურ ქურთუკში

ამერიკის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშს ოლიმპიადისა და სპეციალური ოლიმპიური თამაშების მონაწილეები მიუღია და მადლობაც მიუღია. პრეზიდენტის წინ მჯდომი კაცი ხეიბარი ჰოკეისტი მანუელ გერერაა, მის მარჯვნივ კი პირქვე სკელეტონის ანუ ციგაობის ოლიმპიური ჩემპიონი ტრისტან გეილი.



# სავარჯიშო

ეს უცნაური მანქანა, „ტექნოგიმის" სავარჯიშო დარბაზში რომ დაუდგამთ, საგანგებოდ „ფერარის" პილოტებისთვის დაამზადა ხსენებულმა „ტექნოგიმმა". მანქანა „ფერარის" ბოლიდის ერთგვარი მოდელია და ორგვარი ვარჯიშისთვისაა განკუთვნილი. პირველი კისრის კუნთების გამძლეობას ზრდის, რათა სირთულის შემთხვევაში კისრის კუნთებმა 15-კილოგრამიან დანოლას გაუძლონ, მეორე კი მკლავების 25-კილოგრამიანი დანოლის გაძლებისთვისაა. ყოველ შემთხვევაში, მიხაელ შუმახერი კმაყოფილია.


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge